საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 170 (716) ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1993 წელი. ფასი 25 კუპონი

# ცეცხლი შეწყვეტილია.
# შევეშველოთ მშვიდობას!

## წუხელ შევიტყვეთ

### ცნობები აფხაზეთიდან

**როგორც** საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, 4 აგვისტოს ღამე სოხუმში შედარებით მშვიდი იყო. მაგრამ სოფელ მაჩიასთან შრომა-ახალშენის მიმართულებით მოწინააღმდეგე ყუმბარსტყორცნებიდან და ავტომატური იარაღიდან პერიოდულად უშენდა ცეცხლს ქართულ პოზიციებს. აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე დღეა მოწინააღმდეგე ამ მიმართულებით აწარმოებს საინჟინრო სამუშაოებს — თხრის სანგრებს, ბლინდაჟებს. სამწუხაროდ, სოფელ მაჩიასთან ბრძოლაში დაიღუპა ორი ქართველი მეომარი.

სოხუმში აღარ ისმის ტყვიების ზუზუნი. თუმცა ჯერჯერობით ქალაქში არ არის ელექტროენერგია და წყალი, სოხუმელები მაინც ვაჟკაცურად უძლებენ ყოველგვარ გაჭირვებას, ნანგრევებისაგან წმენდენ ქალაქს, შეძლებისდაგვარად მუშაობენ წარმოება-დაწესებულებები, ბაზარში შემოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ცხვება პური.

ასევე სიმშვიდეა ოჩამჩირის რაიონშიც.

●

### სენაკში სიმშვიდეა

— უთხრა 4 აგვისტოს საქინფორმის კორესპონდენტს სატელეფონო საუბარში სენაკის გამგებლის მოადგილემ გურამ ადამიამ. — ქალაქში დაძაბულობა მოიხსნა, მაგრამ სტაბილურობამდე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია. 4 აგვისტოს ვითარებით სიტუაცია [illegible] არ არის. მართალია, ბატონ ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა ფორმირებებმა დატოვეს ქალაქი, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მიმდებარე სოფლებში არიან განლაგებულნი.

ქალაქში სრული სიწყნარეა. მუშაობენ სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებები, თუმცა მათი გარკვეული პროცენტი ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერებულია. თვენახევარია, რაც პროდუქციას არ უშვებს სენაკის [illegible] ფაბრიკა, მაგრამ 3 აგვისტოს მან მიიღო ნედლეული და უკვე შეუდგა მუშაობას. მუშაობენ ჩაის ფაბრიკებიც, თუმცა საწვავის მწვავე დეფიციტის გამო ვერ ხერხდება მოკრეფილი ჩაის ფოთლის პლანტაციებიდან გამოტანა. ამ დროისათვის მოკრეფილია 1550 ტონა ჩაის ფოთოლი დაგეგმილით გათვალისწინებული 6 ათასი ტონიდან.

ქალაქსა და რაიონში კვლავ მწვავეა პურის პრობლემა.

●

### იქნება ერთიანი ენერგოსისტემა!

**აზერბაიჯანი,** სომხეთი, საქართველო, რუსეთი და თურქეთი წინასწარ დათანხმდნენ, რომ შეიქმნას ერთიანი ენერგოსისტემა. ეს ითვალისწინებს ახალციხიდან ყარსამდე ელექტროგადამცემი ხაზი-200-ის გაყვანასა და არსებული ხაზების განახლებას. თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, რესპუბლიკა დამატებით მიიღებს ვალუტის წყაროს თურქეთში რუსეთიდან ელექტროენერგიის ტრანზიტით გადაცემის შედეგად. ამავე დროს რესპუბლიკის ენერგოსისტემა მიიღებს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ტექნოლოგიის შესწავლის შესაძლებლობას.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

# სოხუმი: ხვალინდელი დღის იმედით

„როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქალაქი კაცს ისე, რომ იგი მიწასთან გაასწორო" — ეს სიტყვები მოყვანილია ამ დღეებში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული ფოტორეპორტაჟიდან. და ზავის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები, სოჭში ხელმოწერილი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმი რომ არა, მასირებული, ყოველდღიური საარტილერიო დაბომბვა საბოლოოდ ნაცარტუტად აქცევდა ფრონტისპირა სოხუმს.

ქალაქი მიწასთან გასწორებული და იავარქმნილია. მის ცენტრალურ ნაწილში, საცხოვრებელ უბნებში იმდენი ნაგებობაა დანგრეული, რომ მათ აღსადგენად, კომპეტენტური სპეციალისტების სახელდახელო შეფასებით, ასი მილიარდი მანეთიც კი არ იკმარებს. დიახ, ომმა აფხაზეთში ერთი წლის განმავლობაში ისეთი მორალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ნგრევა და დანაკარგი მოიტანა, რომ ყოველივე ამის აღდგენას ათობით წელი დასჭირდება.

ძაძებით მოსილ რამდენ ადამიანს შევხვდებით ქალაქში, რომლებმაც დაკარგეს ახლობლები და ნათესავები.

ომით გადაქანცულმა და დატანჯულმა სოხუმელმა ქალებმა ასეთი სიტყვებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს:

„ჩვენ ომით დატანჯული ადამიანები, რომლებმაც დავკარგეთ ყველაფერი — მშვიდობა, პური, წყალი, სინათლე და ცოცხლად დარჩენის იმედიც კი, მადლობას ვუხდით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მისი ბრძნული გადაწყვეტილებისათვის".

სიცოცხლე უბედურებაზე ძლიერი გამოდგა, და ამ მზიან დღეებში, როცა ქართველი და აფხაზი ხალხები დგამენ პირველ ნაბიჯებს შერიგების გზაზე, სოხუმელთა სახეზე გაჩნდა ღიმილი, გამოცოცხლდა ქუჩები, გაიხსნა მაღაზიები, ცენტრალური ბაზარი. მთელი დატვირთვით ამოქმედდა პურის ორი ქარხანა და ახლა პურის ყიდვა შეიძლება ქანცგამწყვეტ რიგში დგომის გარეშე. თუმცა, ქალაქი ჯერჯერობით ვერ იღებს ელექტროენერგიას, ყველა უბანს ვერ აწვდიან სასმელ წყალს, არ მუშაობენ ტროლეიბუსები. მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უახლოეს დღეებში გადაჭრას ეს პრობლემაც.

ხალხს სწამს ახალი ხელმძღვანელობისა, რომელმაც ამ ხანმოკლე პერიოდში ბევრი რამ გააკეთა ქალაქში წესრიგის დამყარების, მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომისათვის, და მაინც, იმედის თვალით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს.

**თენგიზ ჯიბუტი.**

### ჰეიდარ ალიევი:
# „მივესალმები აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტას"

**2-4 აგვისტოს შედგა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი აზერბაიჯანში.**

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, სხვა ოფიციალური პირები. ვიზიტის დროს გაიმართა ვახტანგ რჩეულიშვილისა და ზურაბ კერვალიშვილის შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ჰეიდარ ალიევთან.

ჰეიდარ ალიევი მიესალმა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტას, აღნიშნა, რომ 27 ივლისის შეთანხმება, არსებული რეალობის გათვალისწინებით, ოპტიმალური გარანტია რეგიონში მშვიდობის მისაღწევად. შეხვედრისას განსაკუთრებით გაესვა ხაზი აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს მონაწილეობის მნიშვნელობას და ითქვა, რომ ასეთი რამ პირველად ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილი კონფლიქტების ისტორიაში.

აღინიშნა, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნისათვის და შეიძლება ითქვას, ეს ურთიერთობები პრიორიტეტულია.

გამოითქვა სურვილი, რომ შემდგომში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ორმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, გაფართოვდეს კონტაქტები ყველა დონეზე — იქნება ეს უმაღლესი დონის რეგულარული შეხვედრები თუ სხვა დაინტერესებული სამეურნეო რგოლის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

ამასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტს მიეცა შესაბამისი დავალებები.

# სიძულვილის მდინარე გროზნოდან მოედინება!

**ნაბიჯი** გადაიდგა მშვიდობისკენ!

ჩვენ ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მთლიანობას.

ამ დოკუმენტის ღირსებას და აუცილებლობას მიხვდება ის, ვინც ფასი იცის დაღვრილი სისხლისა და ვინც ფიქრობს საქართველოს მომავალზე...

ამ დოკუმენტის ჭეშმარიტებას ახლოს არ გაიკარებენ ადამიანები, რომლებიც მთელი თერთმეტი თვის მანძილზე ხელს ითბობდნენ ომით გაჩაღებულ ცეცხლზე...

მე მჯერა, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე უფრო შორს იხედება, ვიდრე რომელიმე მოწინააღმდეგე და მოლაშქრე-პოლიტიკოსი, გინდ გარეული და გინდ შინაური. რაც შეეხება შინაურ მტერს, იგი შემცდარი მოკეთეა თუ შეგნებული მოწინააღმდეგე. საქართველოში არსებობს და უფრო ძაბავს ვითარებას, ვიდრე აშკარა მოწინააღმდეგე...

არაერთგზის მითქვამს, პირველი და ყველაზე დაუნდობელი მტერი ქართველისა ისევ ქართველია. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ქართველი ებრძვის ქართველს, ჩვენში ზეიმობს სიძულვილი, ხოლო, ამ სიძულვილის მღვრიე მდინარე გროზნოდან მოედინება.

აგერ, ახლახან, ვაკის პარკში, პრეზიდენტყოფილის მომხრეთა მიტინგი გაიმართა, აი, იმათი, ვინც ამავე პარკში, ცისგახსნისას პრეზიდენტყოფილი დაინახა მზისის თეთრ მოსასხამში. მიტინგზე ერთმა გამომსვლელმა საქვეყნოდ განაცხადა: „უნდა წავიდნენ ეს ღორებიო" (ნათელია, ვისზეცაა ლაპარაკი). ახლა ისიც ვთქვათ, კაცი რომ ამ სიტყვას სხვათა „საზოგადოდ" წარმოთქვამს. რით განსხვავდება იგი იმ მშვენიერი ცხოველისაგან? ნუთუ, იმით, რომ ლაპარაკი იცის? თუმცა: ამდაგვარ მეტყველებას პირუტყვობა სჯობს...

დღეს, როცა აფხაზეთში სისხლის ღვრა შეწყდა და საქართველო სიმშვიდით ცხოვრებას აპირებს, არიან ადამიანები, რომლებიც ხალხს ხელს ხდიან, რომ კიდევ უფრო უკმაყოფილონი იყვნენ და ამბოხდნენ. ამდაგვარი ადამიანები, დასნეულებულ საქართველოს, წამლის მაგიერ შხამს უშხაპუნებენ, ხოლო, მკურნალსა და გადამრჩენს დაუნდობლად ებრძვიან, ეს ყველაფერი ნაცადი ხერხია, მაგრამ ამ ნაცად ხერხთან ბრძოლა მაინც ჭირს.

საქართველოს გამთლიანებას ხელი უნდა შეუწყოს, განსაკუთრებით, სამეგრელოს რეგიონმა, არ მინდა დავიჯერო, რომ გროზნოდან დანიშნული „პოლკოვნიკები" შეძლებენ ამ დიადი კუთხის ჩამოშორებას დედასაქართველოსაგან!

ჩვენი შვილების დაღვრილ სისხლზე ხელს ვერავის მოვათბობინებთ, საქართველო უნდა გამთლიანდეს.

დღეს საქართველოს სამომავლო ისტორიას რუსი, აფხაზი და ჩეჩენი კი არა, ქართველი ქმნის!

მთლიან საქართველოს, ძლიერ საქართველოს, ძლიერ მეზობლებთან მეგობრობა სჭირდება, ვინც ეს არ იცის, ის არ ფიქრობს საქართველოს მომავალზე!

**ჯანსუღ ჩარკვიანი.**

### რომან გოცირიძე:
# „კუპონის გამაგრება თითოეული ჩვენგანის ინტერესებშია"

**სამი დღეა საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი რესპუბლიკაში ოფიციალურად მოქმედებს როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალება. მოსახლეობა არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ მთავრობის განზრახვა სხვა არა არის რა, თუ არა მორიგი მკაცრი გაფრთხილება. ზოგიერთი კი, რაკი შეგნებული აქვს მომენტის მნიშვნელობა, მხარს უჭერდა ასეთ გადაწყვეტილებას, აცხადებდა, ამ ღონისძიებამ დაგვიანა კიდეცო. ამგვარ აზრს ადგას საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკური რეფორმის რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც.**

— ეს გადაწყვეტილება, ალბათ, უნდა მიგვეღო ბრუნვაში კუპონის შემოღებიდან უკვე ორი თვის შემდეგ, — მიაჩნია მას. — მაშინ მთელი ეს მანეთის მასა აკუმულირებული იქნებოდა სახელმწიფო საბანკო სტრუქტურებში.

**— რა გვიჩვენა კუპონის მონოპოლური ბრუნვის პირველი დღეების ანალიზმა?**

— ადგილებიდან, ძირითადად, მოდის ინფორმაცია, რომელსაც ველოდით. მისი დაპროგნოზება შეიძლებოდა, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის ეკონომიკის ახლანდელ რეალურ მდგომარეობას. დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა ცალკეული კომერციული სტრუქტურები, სავაჭრო ორგანიზაციები საქონელს ყიდდნენ რუსულ მანეთებზე. მაგალითად, მედიკამენტებს, ნავთობპროდუქტებს. თუმცა, ახლა ბენზინსაც უკვე კუპონებზე ყიდიან.

მაგრამ წინ ჯერ კიდევ საკმაო სამუშაო გველის. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიტანოთ კანონმდებლობაში. ისინი საჭირო, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში, საკუთარი ეროვნული ვალუტის დასაცავად. უნდა ავამოქმედოთ ეკონომიკური ბერკეტები, სანქციები, გავამკაცროთ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი სავალუტო რეჟიმის დამრღვევთა წინააღმდეგ. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში სამუშაოდან განთავისუფლდებიან თანამშრომლები, რომლებსაც ასეთ ქმედებაში ამხილებენ. საგადასახადო ინსპექცია კი დაკეტავს ამგვარ კერძო საწარმოებს და გაყინავს მათ ანგარიშებს ბანკებში. სხვათა შორის, საკუთარი ვალუტის მონოპოლური მიმოქცევის შესახებ იუწყება ლიტვაც.

**აქტუალური ინტერვიუ**

**— რატომღაც უჩვეულოდ გვეჩვენება ასეთი მკაცრი სიტყვები ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაციის მომხრისგან...**

— მოგეხსენებათ, საჭიროა ნორმირებული ადმინისტრირებაც, რათა ლიბერალიზაცია ქაოსში არ გადაიზარდოს. შეიძლება თვალი დახუჭო წვრილმან დარღვევებზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სავალუტო რეჟიმის დარღვევათა გამო, რომლებიც საფუძველს ურყევენ ეროვნულ ეკონომიკას. ამას ვერ შეურიგდება ვერც ერთი ნორმალური სახელმწიფო.

**— გჯერათ, რომ შესაძლებელია კუპონებზე ბენზინით ვაჭრობის რეალური სახელმწიფო რეგულირება?**

— ბენზინთან დაკავშირებული ვითარება ჩვენი ეკონომიკის, ყოფის სარკეა. ზოგ-ზოგები განზრახ აღვივებენ ჭორებს, თუ ბენზინს მანეთებით არ გავაყიდინებთ, იგი საქართველოში აღარ შემოვაო. მაგრამ, ნება მოგვეცით, დავსვათ კითხვა: ჩვენს რესპუბლიკაში იგი რვაჯერ-ათჯერ უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთში. და რა მოხდება, თუ ბენზინის შემსყიდველი კერძო პირი წააწყდება ნორმალურ საბანკო რეჟიმს, მას სარეალიზაციოდ ისევ რუსეთის ფედერაციაში წაიღებს? დამეთანხმებით, ასეთი ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა.

არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ სახელმწიფო არ იღებდეს მოგებას ნავთობპროდუქტებით ვაჭრობისგან. ჩვეულებრივ მისი 60-70 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში შედის. როგორც ეტყობა, კერძო ბენზინით მოვაჭრეებს ზურგს უმაგრებენ გავლენიანი ძალები, რომლებმაც მოახდინეს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების ბაზრის მონოპოლიზება და ხელოვნურად ზრდიან მის ფასებს. მეწარმეთა ეს ჯგუფები ერთმანეთს შორის წინასწარ დებენ გარიგებებს, თავისებურ საკარტელო შეთანხმებებს, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ და უკარნახონ თავიანთი ფასები ბაზარზე.

პატიოსნად უნდა ვაღიაროთ: საქმის ამგვარი ვითარება სახელმწიფო ხელისუფლების, პარლამენტის, სასამართლო ორგანოების, პროკურატურის, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული სისუსტის დამადასტურებელია, რომლებსაც, ჯერჯერობით, არ შეუძლიათ აღკვეთონ ამგვარი ქმედებანი. თუმცა მჯერა, რომ თუ სახელმწიფო ინსტიტუტები, მთლიანად საზოგადოება რეალურად და არა მარტო სიტყვით დაინტერესდებიან საერთო საქმით, ეს სფეროც შეიძლება კანონიერ კონტროლს დავუქვემდებაროთ.

**— დავუბრუნდეთ ვალუტის საკითხს. ეტყობა, ტერმინი „სავალუტო სპეკულანტი" კვლავ ბრუნდება...**

— მუხლები სავალუტო სპეკულაციების შესახებ უკვე დიდი ხანია ამოღებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან. ნორმალურ ადამიანს ვერავინ აუკრძალავს მიიღოს ლიცენზია და ლეგალურად განახორციელოს სავალუტო ოპერაციები თავის დაწესებულებაში. უბრალოდ, ამ დროს არ უნდა დამალოს თავისი შემოსავალი, გამართულად გადაუხადოს გადასახადები სახელმწიფოს. აი, ნახავთ, რამდენი კერძო გასაცვლელი პუნქტი გაჩნდება რესპუბლიკაში ერთი თვის შემდეგ.

რა თქმა უნდა, უცილობლად უნდა შევიტანოთ ყველა საჭირო ცვლილება მოქმედ კანონმდებლობაში. პარლამენტმა უნდა იჩქაროს და მიიღოს კანონი სავალუტო რეგულირების შესახებ, რომლის პროექტი უკვე წარუდგინა მას რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა.

**— როდის დაფიქსირდება და გამოქვეყნდება კუპონის კურსი წამყვანი მსოფლიო ვალუტების, აგრეთვე რუსული ვალუტის, ბალტიის, ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ერთეულების მიმართ?**

— ვფიქრობ, ამ კვირის დამლევს, როცა საბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე საჯარო ვაჭრობა მოეწყობა.

**— ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად კუპონის მიმოქცევის დაწყებიდან გაიზრდება მასზე მოსახლეობის მოთხოვნაც, ინფლაცია გარდაუვალად გამოიწვევს ფასების მომატებას. თქვენ ხელფასების მომატების მომხრე ხართ თუ მოწინააღმდეგე?**

— მთავრობას მოუწევს ხელფასების, პენსიებისა და კომპენსაციების ოდენობის კორექტირება. მაგრამ ცვლილებათა მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ბიუჯეტს დაამტკიცებს პარლამენტი, როგორი იქნება მისი დეფიციტი, მარაგი მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის, დარჩება თუ არა მასში ხელფასის მომატების რეზერვი. და აი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ კომპენსაციათა დონეზე.

და კიდევ ერთი. კუპონის ბედი, მისი კურსის განმტკიცება ბევრად იქნება დამოკიდებული რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე. მან უარი უნდა თქვას კრედიტების გაცემის საზღვარგარეთული დაწესებულებებისათვის დამახასიათებელ პრაქტიკაზე, რომელიც მისთვის ჩვეულებრივი არ არის. მან, უწინარეს ყოვლისა, ხელი უნდა მოჰკიდოს საკრედიტო ურთიერთობის რეგულირებას, შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნასა და დაცვას და ა. შ. ინფლაცია ხომ მარტო იმიტომ არ ხდება, რომ არ არის საქონელი, ამას იწვევს ფულადი მასისა და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაც. ასე რომ, კუპონის განმტკიცება თითოეული ჩვენგანის ინტერესებშია.

საუბარს უძღვებოდა

**ზურაბ გრძელიშვილი.**

## ნომერში

- სოჭის შეთანხმება, და მისი ალტერნატივა. 2
- „ბედი საპნის ბუშტია"... 3

### საქართველოს რესპუბლიკის
# კ ა ნ ო ნ ი
### საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

1. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წ. 2, მუხ. 136) 48-ე მუხლის „გ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შეთავსება, გარდა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისა".

2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

# ედუარდ შევარდნაძემ დეპეშა გაუგზავნა ბუტროს ბუტროს გალის

**4 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს გალის.**

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ გაეროს აქტიური ჩარევით მოხერხდება აფხაზეთის სისხლიანი კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარება. დადგა გადამწყვეტი მომენტი, — ნათქვამია დეპეშაში, — თუ ახლა, როდესაც მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა, არ იქნება გამოყენებული ეს შესაძლებლობა, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდება, ხოლო პროცესები უმართავი გახდება. ამ მხრივ ის ფაქტი, რომ სამხედრო მეთვალყურეები გამოიგზავნება მომავალ კვირაში, წინ გადადგმული ნაბიჯია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გაეროს გენერალური მდივნისადმი მიმართვაში აგრეთვე სვამს საკითხს ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების დაუყოვნებლივ შემოყვანის თაობაზე.

# მარნეულელები — ქალაქელთა დასახმარებლად

**სამრეწველო** ცენტრებში მარნეულის რაიონიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოწოდების გადიდების შესაძლებლობები განიხილა რესპუბლიკურმა სასურსათო კომისიამ, რომლის სხდომას საქართველოს ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი თავმჯდომარეობდა. სხდომის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ოპერატიულად, ადგილზე შევისყიდოთ და ჩამოვიტანოთ, კერძოდ, თბილისში, რუსთავში პომიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, კარტოფილი, სხვა პროდუქტები. მოქმედების კოორდინაციისთვის შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით ადგილზე გადაჭრის ყველა წარმოქმნილ პრობლემას.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის
თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
1993-94 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ერთადერთი სპეციალიზირებული სასწავლებელია ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ამზადებს ტექნიკოსებს აეროფოტოგეოდეზიის, საინჟინრო გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სპეციალობებით.

მიღება წარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე.

I კურსზე მიიღებიან არასრული, ხოლო II კურსზე — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

სწავლის ვადა შესაბამისად 3,5 და 2,5 წელია.

I კურსზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ მათემატიკაში (ზეპირი) და წერით გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წაკითხული ტექსტის შინაარსი)

II კურსზე შემსვლელები — მათემატიკაში (ზეპირი) და წერით გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება).

საბუთების მიღება სწარმოებს 31 ივლისამდე. გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სტიპენდიით 2700-დან 3220 მანეთამდე, მსურველები საერთო ბინით.

ტექნიკუმში ფუნქციონირებს სამხედრო განყოფილება, სწავლის პერიოდში მოსწავლეები თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან.

კურსდამთავრებულებს ენიჭებათ თადარიგის ოფიცრის წოდება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, ქ ილ. ჭავჭავაძის გამზირი №25, ტელეფონი 22-30-33.

ტექნიკუმის დირექცია

ვისაც მედდის ან მეანის (ბებია ქალის) პროფესიას სურს დაეუფლოს
ფირმა «ბარაკონთან» არსებული თბილისის საშუალო სპეციალური სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის.

მიიღებიან როგორც სრული, ასევე არასრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეები, სწავლების ვადა შესაბამისად 2 და 3 წელია.

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება დღის საათებში 10 სთ-დან — 16 სთ-მდე. რკინიგზის კახიანის სახ. საავადმყოფოს ბაზაზე დიღომში), მეანობის ფაკულტეტის მოსწავლეები მეანობა-გინეკოლოგიის კურსს გაივლიან აკად. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს-კ ინსტიტუტის ბაზაზე.

ძირითადი სპეციალობის პარალელურად მოსწავლეები დაეუფლებიან მასაჟისტის და კოსმეტოლოგის სპეციალობებს და მიიღებენ შესაბამის მოწმობებს.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ზოგად ბიოლოგიაში — სრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთათვის და ანატომიაში — არასრული საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთათვის.

სასწავლებელში სწავლა ფასიანია.

საბუთები მიიღება ა. წ. 20 აგვისტომდე. ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან — 15 სთ-მდე. ჩვენი მისამართია თბილისი, ლუბლიანას ქ. 5, კახიანის სახ. რკინიგზის საავადმყოფო დიღომი).

ცნობებისათვის დარეკეთ: 51-78-20. დღის საათებში. 22-46-16, 22-52-52. საღამოს საათებში. იჩქარეთ.

1. ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული მიიღებს სამ სპეციალობას და ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით შრომით დასაქმებასა და სწავლის გაგრძელების საქმეში.

2. ვიძლევით ხარისხიანი და იაფი სწავლის გარანტიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პარლამენტის დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ კანონის დებულებებიდან გამომდინარე ნორმატიული აქტები.

**საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე**
**ვახტანგ რჩეულიშვილი.**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

---

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1.** კანონი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ განსაზღვრავს უცხოელთა (უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა):

ა) საქართველოს რესპუბლიკაში დროებით შემოსვლასა და გასვლას;

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას;

გ) უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას;

დ) პასუხისმგებლობას ამ კანონის დარღვევისათვის.

**მუხლი 2.** კანონმდებლობას საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ შეადგენს ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

## თავი II. უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი შემოსვლა

**მუხლი 3.** საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელი მოქალაქეები შემოდიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისათვის ღია გამშვები პუნქტებიდან მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტებით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირები — მათი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი საბუთის საფუძველზე, თუ აქვთ საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის, შემოსვლა-გასვლის, გასვლა-შემოსვლის და მრავალჯერადი გასვლა-შემოსვლის ვიზა.

**მუხლი 4.** საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი შემოსვლის და შემოსვლა-გასვლის ვიზას გასცემს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა.

**მუხლი 5.** საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი შემოსვლის ვიზის გაცემის საფუძველია:

1. კერძო ვიზიტი:

ა) ტურისტული მოგზაურობა.

ტურისტული მოგზაურობისათვის დროებითი შემოსვლის ვიზა გაიცემა სასყიდლით, დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე. სასყიდლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ტურისტული მოგზაურობისათვის დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემის დღიდან 3 თვის განმავლობაში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის ან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები პირის მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში;

გ) საქართველოს რესპუბლიკაში არსებული სამკურნალო დაწესებულების მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება მკურნალობისათვის საჭირო დროით;

დ) სასამართლო პროცესში მონაწილეობა.

ვიზის გაცემის საფუძველია სასამართლო შეტყობინება.

ამ საფუძვლით გაცემული ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის საჭირო დროით.

2. საქმიანი ვიზიტი:

იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებთან ეკონომიკური კავშირის დამყარებით, ვიზა ეძლევათ იურიდიული პირის მოწვევის საფუძველზე, ან, თუ ასეთი მოწვევა არა აქვთ, სასყიდლით, დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე. სასყიდლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან 6 თვის განმავლობაში:

3. სამუშაოდ ჩამოსვლა:

ა) კონტრაქტით.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება კონტრაქტის ხანგრძლივობით.

უცხოელთან სამუშაო კონტრაქტი შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგივე სამუშაოს შესრულება სათანადო კვალიფიკაციით არ შეუძლია საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ გამოუთქვამს ამ სამუშაოს შესრულების სურვილი. დასკვნას ამის შესახებ იძლევა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო;

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირთა უცხოელი თანამშრომლების საქართველოს რესპუბლიკაში სამუშაოდ ჩამოსვლა.

4. სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება:

ვიზის გაცემის საფუძველია ღონისძიების ორგანიზატორთა მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება ღონისძიების ხანგრძლივობით.

5. ქველმოქმედება:

ვიზის მისაღებად უცხოელი ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირი მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის ორგანოებს ან ორგანიზაციებს, რომელთა წარდგინების საფუძველზე გაიცემა ვიზა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზა ძალაშია გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

6. სასწავლებლად ჩამოსვლა:

ვიზის გაცემის საფუძველია სასწავლო დაწესებულების მოწვევა.

ამ საფუძვლით გაცემული დროებითი შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა განისაზღვრება სასწავლო პროცესის ხანგრძლივობით.

7. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თუ საქართველოს რესპუბლიკაში დროებითი ყოფნის ვადა არ აღემატება 3 თვეს, შეიძლება გაიცეს შემოსვლა-გასვლის ვიზა.

**მუხლი 6.** უცხოელს მომწვევი და მასპინძელი ორგანიზაციების ან პირადი შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება მიეცეს გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზა. შუამდგომლობა გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზის გაცემის შესახებ შეიტანება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ან შინაგან საქმეთა ორგანოებში ქვემდებარეობის მიხედვით.

გასვლა-შემოსვლის მრავალჯერადი ვიზები მიეცემათ:

1. კაპიტალის დამბანდებლებს;

2. უცხოელებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებთან;

3. საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირების უცხოელ ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციის წევრებს და თანამშრომლებს, რომლებსაც სამუშაოს ხასიათის გამო ხშირად უხდებათ საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა-გასვლა;

4. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებს.

**მუხლი 7.** საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი დროებითი ვიზების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოსასვლელი დროებითი ვიზების მოქმედების ვადას ქვემდებარეობის მიხედვით აგრძელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები და საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 8.** საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა უცხოელებს ეკრძალებათ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე.

## თავი III. საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა ცხოვრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა

**მუხლი 9.** საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელები ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად რეგისტრირებული საზღვარგარეთის პასპორტებით. საზღვარგარეთის პასპორტების სარეგისტრაციოდ წარდგენა დანიშნულების პუნქტში ხდება ჩამოსვლიდან სამი დღის განმავლობაში, უქმე დღეების ჩაუთვლელად.

საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელების საზღვარგარეთის პასპორტებს არეგისტრირებენ საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა ორგანოები და სასტუმროები.

**მუხლი 10.** საზღვარგარეთის პასპორტების რეგისტრაციისგან თავისუფლდებიან:

ა) უცხოეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, მთავრობისა და პარლამენტის დელეგაციების წევრები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მეთაურები და დელეგაციის წევრები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მოწვევით, აგრეთვე ამ დელეგაციათა ტექნიკური პერსონალი და ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები;

ბ) 18 წელს მიუღწეველი უცხოელები;

გ) უცხოელები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ უქმე დღეებში ან მხოლოდ 3 დღით — სადაგ დღეებში;

დ) კრუიზში მონაწილე უცხოელი ტურისტები;

ე) საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით ჩამოსული უცხოეთის სამხედრო გემებისა და სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟების წევრები.

სამხედრო გემების და სამხედრო თვითმფრინავების ეკიპაჟების წევრები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადმოდიან საქართველოს ნავსადგურში (გარნიზონში) უცხოური სახელმწიფოს (სამხედრო) მეთაურის ნებართვის საფუძველზე შემოსული გემის (სამხედრო თვითმფრინავის) მიღების გეგმის შესაბამისად;

ვ) სამოქალაქო გემის ეკიპაჟის წევრები — საქართველოს რესპუბლიკის ნავსადგურებსა და სანავსადგურო ქალაქებში დგომისას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებში საექსკურსიო გასვლის დროს.

ზემოაღნიშნულ პირთა ნაპირზე ჩამოსვლის ნებართვას გასცემენ სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) საერთაშორისო ავიახაზის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ეკიპაჟისა და საერთაშორისო მატარებლის ბრიგადის წევრები — იმ აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში ყოფნისას, რომლებიც მიმოსვლის მოქმედ განრიგშია აღნიშნული.

**მუხლი 11.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში რეგისტრირდება შემდეგ პირთა საზღვარგარეთის პასპორტები:

ა) უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეთაურების, დიპლომატიური პერსონალის წევრების, საკონსულო დაწესებულებათა თანამდებობის პირების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალის, სამხედრო ატაშეს აპარატისა და სავაჭრო წარმომადგენლობებში მომუშავე პირების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეთაურთან მყოფი სტუმრებისა, თუ ისინი მის რეზიდენციაში ან აღნიშნულ წარმომადგენლობებსა და დაწესებულებებში ცხოვრობენ;

ბ) საქართველოს რესპუბლიკაში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მქონე უცხოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა უწყებების თანამშრომლების და მათი ოჯახების წევრებისა;

გ) საქართველოს რესპუბლიკაში სამსახურებრივ საქმეზე ჩამოსული საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების, საქართველოს რესპუბლიკაში აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლობების თანამშრომლების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან აკრედიტირებული წარმომადგენლობების თანამშრომლების, რომელთა შტაბ-ბინაც საქართველოს რესპუბლიკაშია და რომელნიც მოცემული ორგანიზაციების საწესდებო დოკუმენტების ან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების პასპორტები.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი წარმომადგენლობები ზემოაღნიშნულ პირებს აძლევენ დიპლომატიურ, საკონსულო ან სამსახურებრივ ბარათებს, ან აკეთებენ სარეგისტრაციო ჩანაწერს უშუალოდ საზღვარგარეთის პასპორტებში.

**მუხლი 12.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნება ეძლევა საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა და მათი ოჯახის წევრთა საზღვარგარეთის პასპორტები, როცა ამის შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ მათი მიმღები და მასპინძელი ორგანიზაციები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, აგრეთვე რეგისტრაციაში გაატაროს საერთაშორისო ორგანიზაციების იმ თანამშრომელთა საზღვარგარეთის პასპორტები, რომელნიც აღნიშნული არ არიან ამ კანონის მე-10 მუხლში. ასეთ შემთხვევებში უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტები არ ექვემდებარება სასტუმროებსა და შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციას.

**მუხლი 13.** სასტუმროებში ხდება იქ მცხოვრები უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტების რეგისტრაცია მათი ჩამოსვლის მიზნების და საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის ვადების მიუხედავად, გარდა ამ კანონის მე-10 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული პირების პასპორტებისა.

**მუხლი 14.** შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციას ექვემდებარება იმ უცხოელთა საზღვარგარეთის პასპორტები, რომელნიც არ არიან აღნიშნული ამ კანონის მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში.

## თავი IV. უცხოელთა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო გავლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა

**მუხლი 15.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ტრანზიტით გავლა უცხოელებს შეუძლიათ მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტით და საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის, ხოლო თუ ასეთი წარმომადგენლობა არ არსებობს, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანოს მიერ გაცემული სატრანზიტო ვიზით.

**მუხლი 16.** სატრანზიტო ვიზა გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთი ან რამდენიმე პუნქტში გაჩერების უფლებით, მიზნობრივ ქვეყანაში გამგზავრების უმოკლესი მარშრუტის შესაბამისად.

**მუხლი 17.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უვიზოდ სატრანზიტო გავლის უფლება აქვთ:

ა) საჰაერო ტრანსპორტის მგზავრებს, თუ არსებობს საჰაერო სივრცის გადაკვეთის წინასწარი ნებართვა;

ბ) საერთაშორისო ავიახაზებზე მფრინი თვითმფრინავებით მგზავრობისას შუალედური გადაჯდომით, თუ მგზავრებს აქვთ დანიშნულების ქვეყანაში შესვლის უფლების დამადასტურებელი საბუთი და ავიაბილეთი, რომელშიც დამოწმებულია საქართველოს იმ აეროპორტიდან გამოფრენის თარიღი, სადაც შუალედური გადაჯდომა ხდება, და როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნის დრო არ აღემატება 24 საათს. ამასთან, მგზავრებს უფლება არა აქვთ, დატოვონ აეროპორტში მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლები;

გ) იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებთანაც საქართველოს რესპუბლიკას აქვს შესაბამისი შეთანხმება.

**მუხლი 18.** უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სატრანზიტო გავლა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, მათ შორის, საერთაშორისო საავტომობილო ტვირთზიდვა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო საავტომობილო კავშირებისთვის ღია გზებზე.

**მუხლი 19.** საქართველოს რესპუბლიკაში ტრანზიტით გამვლელი უცხოელები, რომლებიც იძულებული გახდნენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 24 საათზე მეტ ხანს გაჩერებულიყვნენ, ვალდებული არიან, გაჩერებიდან 24 საათის განმავლობაში, შინაგან საქმეთა ორგანოებში გააფორმონ საქართველოს რესპუბლიკაში ყოფნის ნებართვა.

იძულებით გაჩერებად ჩაითვლება:

ა) სტიქიური უბედურება, რომელიც აფერხებს მატარებლის, ავტოტრანსპორტის, გემის ან თვითმფრინავის მოძრაობას;

ბ) სატრანსპორტო საშუალების აუცილებელი რემონტი ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

გ) ავადმყოფობა, როდესაც ექიმის დასკვნით ავადმყოფის შემდგომი მგზავრობა საფრთხეს შეუქმნის მის ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში ავადმყოფთან შეიძლება დარჩნენ მისი ოჯახის წევრები და თანმხლები პირები;

დ) როდესაც ფერხდება საკვანძო პუნქტში ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეში გადაჯდომა.

იძულებითი გაჩერებისას უცხოელს უფლება აქვს, დარჩეს მხოლოდ იმ დასახლებული პუნქტის ფარგლებში, სადაც შემთხვევა მოხდა, სანამ იძულებითი გაჩერების გამომწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება.

სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება და იძულებითი გაჩერების ადგილას ყოფნის ნებართვის გაფორმება წარმოებს უცხოელთა პირადი განცხადების საფუძველზე შესაბამისი ორგანოების ცნობის წარდგენით, რომელიც იძულებითი გაჩერების მიზეზსა და ხანგრძლივობას ადასტურებს.

## თავი V. საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლა

**მუხლი 20.** საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფი უცხოელები ქვეყნის ტერიტორიიდან გადიან საზღვარზე არსებული საერთაშორისო კავშირებისთვის ღია გამშვები პუნქტებიდან მოქმედი საზღვარგარეთის პასპორტებით ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, თუ აქვთ საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის ან გასვლა-შემოსვლის ვიზები.

**მუხლი 21.** საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლისა და გასვლა-შემოსვლის ვიზებს გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ქვემდებარეობის მიხედვით.

გასვლა-შემოსვლის ვიზა მიეცემათ იმ უცხოელებს, რომლებიც შემოსასვლელი ვიზის მოქმედების ვადის ფარგლებში დროებით გადიან საქართველოს რესპუბლიკიდან. გასვლა-შემოსვლის ვიზის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ვიზის მოქმედების ვადას.

**მუხლი 22.** საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელებს ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლა ეკრძალებათ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად.

## თავი VI. საქართველოს რესპუბლიკაში დროებით მყოფ უცხოელთა პასუხისმგებლობა

**მუხლი 23.** ამ კანონის დარღვევისათვის უცხოელები პასუხს აგებენ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 24.** საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებიდან უცხოელები გაიძევებიან უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად.

## თავი VII. დასკვნითი დებულება

**მუხლი 25.** თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ამ კანონში გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებული წესები, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესები.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური**
**ედუარდ შევარდნაძე.**

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი**
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 27 ივლისი.

---

# სოჭის შეთანხმება და მისი ალტერნატივა

### თვალსაზრისი

**აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ სოჭში დადებულმა სამმხრივმა შეთანხმებამ ერთი ხელის დაკვრით დაამსხვრია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის რეალური საფრთხით განპირობებული და უკანასკნელ ხანს რის ვაი-ვაგლახით თითქოსდა შეკოწიწებული ქართველთა მყიფე ერთობა. აფხაზეთის ომისადმი დამოკიდებულების საკითხში საზოგადოებრივი აზრი საქართველოში კვლავ ორად გაიყო.**

შეთანხმების მოწინააღმდეგეთა პირველ რიგებში, ცხადია, ახლაც ექსპრეზიდენტის მომხრეებს ვხედავთ. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც ომის პირველი დღეებიდანვე გაჰკიოდნენ „შევარდნაძის მიერ ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდის", „ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების მიზნით საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მისთვის განზრახ თავსმოხვეული უაზრო ომის" შესახებ. ყველას გვახსოვს მათ არასანქცირებულ მიტინგებზე გამოტანილი ლოზუნგები, რომლებიც ქართველ ხალხს „უაზრო ომის" შეწყვეტისა და მასში მონაწილეობაზე უარის თქმისაკენ მოუწოდებდნენ...

და აი, საკმარისი იყო ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯი გადაედგა ცეცხლის შეწყვეტის გზაზე, რომ ზვიადისტთა განწყობილებაში კარდინალური გარდატეხა მოხდა: ახლა ისინი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე" გაგრძელების გულმხურვალე მომხრეებად მოგვევლინენ.

პრეზიდენტყოფილის მხარდამჭერთა პოზიციის ასეთი საოცარი ტრანსფორმაცია საქმეში ჩაუხედავ კაცს, იქნებ, ძნელად ასახსნელად მოეჩვენოს, მაგრამ მათთვის, ვისთვისაც კარგად არის ცნობილი ზვიადისტთა პოლიტიკური [illegible], მათი ფსიქოლოგია, ყველაფერი დღესავით ნათელია.

ზვიადისტთა აზრით, მათთვის კარგია ყველაფერი ის, რაც ცუდია დღევანდელი ხელისუფლებისათვის. სწორედ ამ მარტივ ფორმულაზეა აგებული მათი მთელი სტრატეგია და ტაქტიკა. ისინი გმობდნენ ომს არა იმიტომ, რომ მასში მართლაც „ქართველი ხალხის გენოციდს" ხედავდნენ, არამედ იმიტომ, რომ ამ ომს აწარმოებდა საქართველოს ხელისუფლება. ახლა ისინი თავგამოდებით ილაშქრებენ ცეცხლის შეწყვეტის წინააღმდეგ, რადგან შეთანხმებას მხარს უჭერს სახელმწიფოს მეთაური.

აი, ზვიადისტთა პოლიტიკური მალაყის ერთადერთი ნამდვილი მიზეზი. როგორც ვხედავთ, პრეზიდენტყოფილის მომხრეთა 180-გრადუსიანი პოზიციური ბრუნი მეტად მარტივად აიხსნება და მას არაფერი აქვს საერთო საქვეყნო ინტერესთან.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერილი ვარიანტის წინააღმდეგ საქართველოში არაერთი სხვა ძალაც ილაშქრებს. მკრეხელობა იქნებოდა ყველა მათგანის პოზიციის ახსნა რაღაც პირადული თუ ჯგუფური ინტერესებით, თუნდაც პოპულიზმით ან ექსტრემიზმისაკენ მიდრეკილებით. ქართული მხარის მხრივ შეთანხმება მართლაც ძალზე მძიმე კომპრომისს მოითხოვს და მისი თავგამოდებული მომხრეებისთვისაც კი იგი მხოლოდ დიდი შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევის ფასად იქნა გაზიარებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველი ხელისუფლების აღდგენის მუხლი იწვევს უდიდეს შინაგან წინააღმდეგობას. ან რა პირით უნდა ჩამოვიდეს არძინბა თავის მიერვე დანგრეულ ქალაქში, ან როგორ უნდა უყურონ სოხუმელებმა თავიანთი ახლობლების მკვლელებს... უყურონ კი არა — დაემორჩილონ მათ ბრძანებებს...

მაგრამ ეს უთუოდ სამართლიანი გულისწყრომა, ემოციაა, ემოცია კი პოლიტიკაში მეტად ცუდი მსახურია. პოლიტიკაში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, საჭიროა ცივი გონება, საღი განსჯა.

შეთანხმებაზე ხელმოწერის ერთადერთი ალტერნატივა ომის გაგრძელებაა. რას მოგვიტანდა იგი? ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზეთში აფხაზებს კი არა, რუსეთს, მის ყველაზე შავბნელ ძალებს ვებრძვით. სწორედ ამიტომ აქვთ აფხაზებს ჩვენზე უკეთესი და უახლესი იარაღი, უფრო უხვი მომარაგება, დიდძალი ფული. ამიტომაა, რომ ჩვენი სამხედრო ძლიერების ზრდის კვალობაზე ადეკვატურად და ოდნავ უფრო მეტადაც იზრდება მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი რესურსები არ ამოიწურება. უგუნურებაა იმის ფიქრი, რომ ჩვენ შევძლებთ რუსეთის წელში გატეხას და მასთან ომის მოგებას. თუ გვესმის და ვაღიარებთ, რომ გვებრძვის რუსეთი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ომის მოგება ჩვენ არ ძალგვიძს.

რუსეთიდან მძლავრი მხარდაჭერის უგარანტიოდ არც აფხაზები და არც ოსები ჩვენთან კონფლიქტს, უკეთეს შემთხვევაში, არც წამოიწყებდნენ, უარეს შემთხვევაში კი საქართველო ამ კონფლიქტებს რამდენიმე დღეში ძალების დაუძაბავად დაარეგულირებდა. რატომ ეხმარება ოსებსა და აფხაზებს რუსეთი? ცხადია, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი რუსეთს მისი იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას აღუთქვამენ. და სანამ ასეა, სანამ ჩვენ რუსეთის ლანძღვა-გინებაში ვიქარვებთ დარდს, ოსები და აფხაზები კი ქართულ მიწაზე ეპატიჟებიან რუს გენერლებს, მანამ იარაღის ძალით ოსურ-აფხაზური კონფლიქტების ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა. დროა, დიდი ხანია დროა, ხმამაღლა ითქვას: **ამ კონფლიქტებს მოიგებს ის, ვინც უკეთ შეძლებს რუსეთის იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას. ჩვენ კი ამის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა გვაქვს, ვიდრე აფხაზ და ოს სეპარატისტებს.** უნდა შევიგნოთ, რომ სრული სუვერენიტეტი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არასოდეს და არავისთვის არ მოდის. დიდმა დავით აღმაშენებელმა გამეფებიდან ათი წელი თურქ-სელჩუკებს ხარკი იმიტომ კი არ უხადა, რომ ჩვენზე ნაკლებად ქვეყნისმოყვარე, ან ნაკლებად თავისუფლებისმოყვარე იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენზე დიდი პოლიტიკოსი იყო და ესმოდა, რომ თავისუფლებას შემზადება, შესაფერისი დროის შერჩევა სჭირდებოდა. რუსეთი დღეს დასუსტებულია, მაგრამ არც იმდენად, რომ უბრძოლველად, ხელის გამოულებლად დათანხმდეს თავის ყოფილ სამფლობელოებში სხვათა გავლენის გაძლიერებას. თავის ბრძოლაში იგი არასოდეს გამოირჩეოდა ხერხებისა და მეთოდების დახვეწილობითა და სიფაქიზით, მით უმეტეს განსაკუთრებით საშიშია დღევანდელი დაჭრილი და გაავებული რუსეთი. დასავლეთზე ჩვენი ნაადრევი ორიენტაცია რუსეთს აღიზიანებს და, ისიც მთელი მსოფლიოს დასანახავად, სამაგალითოდ გვსჯის. არ კმარა ვამაყობდეთ ჩვენი ისტორიით, იგი უნდა გავითვალისწინოთ კიდეც. თავის დროზე ობიექტური აუცილებლობა იყო თურქეთსა და ირანს შორის ლავირების პოლიტიკიდან რუსეთზე ორიენტაციის პოლიტიკაზე გადასვლა. ერეკლე მეფის მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი უდაოდ სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მას შემზადება აკლდა და ირანმა მოახერხა საქართველოს დასჯა. შეცდომა კი აღარ უნდა გავიმეოროთ. **დღეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ჩვენ ოსი და აფხაზი სეპარატისტების მიმართ ახალ კომპრომისებში ვეძებთ, იგი კი რუსეთთან კომპრომისში ძევს. დიახ, ემოციურად რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ჩვენთვის ამის აღქმა, ჩვენ უნდა დავუშვათ გარკვეული კომპრომისი სწორედ რუსეთთან, აღვუთქვათ მას იმაზე მეტი, ვიდრე აფხაზი და ოსი სეპარატისტები ჰპირდებიან. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან კომპრომისი არის არა ჩვენი სურვილი, არამედ რეგიონში და მთელ მსოფლიოში დღეს ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის ანალიზიდან გამომდინარე იძულებითი აუცილებლობა.**

მხოლოდ ასე შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ჩვენი საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარება.

სოჭის სამმხრივი შეთანხმება ჩვენთვის მისაღებია არა მარტო იმიტომ, რომ მას რამდენადმე გონივრული ალტერნატივა არ გააჩნია, არამედ იმიტომაც, რომ მას კონფლიქტის მოგვარება გადააქვს სამართლებრივ სიბრტყეზე, სადაც ჩვენ აშკარა უპირატესობა გვაქვს. ცეცხლის შეწყვეტის შედეგად კონფლიქტიდან გამოითიშებიან ამ ომში მოწინააღმდეგის მხარეზე აშკარად თუ ფარულად მებრძოლი მთელი რიგი ძალები, პირველ რიგში კი რუსეთის ყველაზე აგრესიული და შავბნელი ნაწილი. რუსეთის მეორე ნაწილი, ანუ პრეზიდენტ ელცინის მომხრე რუსეთი საჯაროდ აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამიტომ მისი მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ პოლიტიკურ დიალოგში დისკომფორტს შეუქმნის უწინარეს ყოვლისა აფხაზურ მხარეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთის ის შავბნელი ძალები, რომელთა მხარდაჭერასაც აფხაზი სეპარატისტები ეყრდნობიან, დღითიდღე სუსტდებიან. მაშასადამე, დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს.

ჩვენს მხარეზეა საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილგანწყობა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი...

ერთი სიტყვით, ფონი, რომელზეც ქართულ-აფხაზური დიალოგი უნდა გაიმართოს, ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია. ახლა საჭიროა შექმნილი ვითარების მაქსიმალურად გამოყენება. პოლიტიკური დიალოგი კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ომი. და ის, ვინც დღეს ცეცხლის შეწყვეტისა და პოლიტიკურ დიალოგზე გადასვლის წინააღმდეგია, ნებსით თუ უნებლიეთ, ზურგში მახვილს სცემს საქართველოს.

**უჩა ბლუაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

# სოჭში მუშაობას იწყებს შტაბი

**სოჭი, 4 აგვისტო. (იტარ-საქდესის კორ.). დღეს სოჭში ჩამოვიდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლების, აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის, უშიშროების სამინისტროების, ფედერალური მიგრაციული სამსახურის, სხვა სამსახურებისა და უწყებების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.** მათი ჩამოსვლის მიზანია ორგანიზაცია გაუწიონ მუშაობას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ შეთანხმების შესრულებისათვის, რომელიც 27 ივლისს არის ხელმოწერილი. სოჭში, როგორც უკვე ვიუწყებოდით, დღეიდან მუშაობას იწყებს ოპერატიული შტაბი, რომელიც შემდეგ სოხუმში გადავა.

---

# ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო აღიარება

**საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ციებ-ცხელებამ ზენიტს მიაღწია. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა კი ოთხ აბიტურიენტს უკვე მიულოცა საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტის სტუდენტებად გახდომა. ესენი არიან დედაქალაქის ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური და 128-ე საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები ირაკლი ნადირაძე, ავთანდილ გაჩეჩილაძე, გიორგი ხუციშვილი და ვახტანგ ციხარიძე. ეს ჭაბუკები რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით უგამოცდოდ ჩაირიცხნენ მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე, როგორც ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილეები და გამარჯვებულები.**

ნორჩ მათემატიკოსთა საერთაშორისო ოლიმპიადა ივლისის მიწურულს გაიმართა ქალაქ სტამბოლში. ფორუმში მონაწილე 73 ქვეყანას შორის საქართველოს ნაკრები ოლიმპიადის ისტორიაში პირველად გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელი და საკმაო წარმატებითაც. ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მოიპოვა ირაკლი ნადირაძემ, ბრინჯაოს მედლები — გიორგი ხუციშვილმა, ვახტანგ ციხარიძემ და მეათეკლასელმა გიორგი კოვალენკომ. საპატიო სიგელი ამოცანის ორიგინალური გადაწყვეტისათვის დაიმსახურა ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მეათეკლასელმა დავით გაბელაიამ. საქართველოს ნორჩ მათემატიკოსთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ნაკრების ხელმძღვანელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს პროფესორ ლერი გოგოლაძეს და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს კონსტანტინე ცისკარიძეს, რომლებიც მოსწავლეებს თან ახლდნენ სტამბოლში. უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ჟიურის მიერ მოწონებულ იმ 25 ამოცანას შორის, რომლებიც მათ შეარჩიეს ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების მიერ გაგზავნილი 6-5 მაგალითიდან, მოხვდა ქართველების მიერ შეთავაზებული ერთი ამოცანა.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა მადლობას უხდის თურქეთის ფირმა „ჩალდაჩს" და მის პრეზიდენტს შაიათი ქუჩუკს, რომელთა ხელშეწყობითაც ნორჩ ქართველ მათემატიკოსებს სტამბოლში ჩასვლისა და ოლიმპიადაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ.

**ნინო თათრულაიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

## სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების საორიენტაციო შესასყიდი ფასების შესახებ

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების 1993 წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად მაქსიმალურად გამოყენების, მწვავე დეფიციტის პირობებში მონოპოლიური ფასწარმოქმნის დაძლევის შესახებ.**

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ ეკონომიკის სამინისტროს უნდა წარუდგინოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების საორიენტაციო შესასყიდი ფასების თაობაზე სათანადოდ არგუმენტირებული წინადადებანი არა უგვიანეს ერთი კვირისა ადრე შესაბამისი სახეობის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში განხილვამდე; საორიენტაციო ფასების განსაზღვრის საფუძვლად აღებულ უნდა იქნეს წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ უმოკლეს ვადაში უნდა დაამუშაოს და ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს წარუდგინოს სახაზინო ფასწარმოქმნის საკითხებზე მეთოდიკური რეკომენდაციები დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ხორბლის 1993 წლის მოსავლის საორიენტაციო შესასყიდი ფასი განისაზღვრება 350 კუპონით 1 კილოგრამი. ანგარიშსწორება სახელმწიფო სექტორში განხორციელდება გადარიცხვით, კერძო სექტორთან — [illegible] სალაროების მეშვეობით. [illegible] საბანკო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა და შრომის ანაზღაურების თანხების დროული გაცემა.

მიმდინარე სეზონზე დამზადებული ხორბლის რესურსები არ იქნეს გამოყენებული 1993 წლის 1 ოქტომბრამდე.

უნდა ვიცნობდეთ

# ბენიამინ ავილეა: მეამაყება, რომ ამ პროცესში ვმონაწილეობ!

### შტრიხები დიპლომატის პორტრეტისათვის

**ბენიამინ ავილეამ**, ისრაელის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა საქართველოში, მიმიღო თავის კაბინეტში, საელჩოს ოფისში, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირის № 61 სახლის მეორე სართულზე.

დღეს ჩემი ვიზიტის მიზანი არც ისრაელზე საუბარია და არც საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე (ამაზე ბოლო დროს ჩვენს პრესაში საკმაოდ ბევრი დაიწერა)... მაინტერესებს საქართველოში ისრაელის წარმომადგენლის პიროვნება, დიპლომატის ინტელექტუალური დონე მსოფლიო ჟურნალისტიკაში მიღებული ხუთბალიანი სისტემის მიხედვით...

მაშ ასე, ბენიამინ ავილეა...

**1. განათლება.**

დაამთავრა იერუსალიმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ბიზნესის განხრით, შემდეგ — საგარეო საქმეთა სამინისტროს კურსები. 32 წელია რაც დიპლომატიურ სამსახურშია.

**2. ენები.**

ებრაული — მშობლიური ენაა, თავისუფლად ლაპარაკობს გერმანულად, ფლობს ინგლისურს, იცის არაბული.

**3. კულტურული ინტერესები.**

„ვარ მუსიკოსების ოჯახიდან — ამიტომ ძალიან მიყვარს მუსიკა: კლასიკური, ფოლკლორული, ჯაზი; როკი არ მიყვარს.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა პოლიფონიამ.

მაინტერესებს ისტორია, არქეოლოგია... შემძრა ვარძიამ. ქართველ მეფეთა ფრესკების ხილვით გამოწვეული გრძნობები მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყვება. ვფიქრობ, ამ საოცარ კლდეში გამოკვეთილ მონასტრებთან ტურისტების ნაკადი არასოდეს დაილევა.

ერთი სიტყვით, მიზიდავს კულტურის ყველა ასპექტი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია პოლიტიკასთან".

**4. მთავარი მიღწევა.**

არ დაუწერია არც ერთი წიგნი.

სამაგიეროდ, თავისი „კვალი" დაამჩნია იერუსალიმის მუზეუმს, რომლის დირექტორადაც მუშაობდა წლების მანძილზე და რომლის თანამშრომლები ცდილობენ უძველეს ფოლიანტებში ჩამალულ სიბრძნეს ეზიარონ.

ავტორია მრავალი დიპლომატიური დოკუმენტისა. წარმოადგენდა ისრაელს კვიპროსში, ფილიპინებზე, ლოს-ანჯელესში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ტორონტოში...

**5. ოჯახი.**

მშობლები რეპატრიანტები არიან: მამა — რუსეთიდან, დედა — პოლონეთიდან, ერთმანეთი გაიცნეს ვარშავაში, კონსერვატორიაში. იქორწინეს, გადასახლდნენ ვენაში. 1926 წელს, როგორც მუსიკოსები, ჩავიდნენ საცხოვრებლად პალესტინაში.

დავიბადე ტელ-ავივში, ქალაქში, რომელშიც, როგორც ჩვენთან ამბობენ, „დროს ატარებენ". სკოლა დავამთავრე ხაიფაში, ქალაქში სადაც „მუშაობენ". კარიერა დავიწყე იერუსალიმში — ამ ქალაქში „სწავლობენ".

მეუღლეს ემიგრანტის მძიმე ხვედრი ხვდა წილად. ანტიჰიტლერული ომის დროს ლტოლვილმა თავი ამოჰყო შანხაიში. 1949 წელს მსოფლიო ორგანიზაცია „სოხნუთის" დახმარებით აღმოჩნდა ისრაელში რეპატრირებულთა შორის. გვყავს ვაჟი, ქალიშვილი და შვილიშვილი. ვაჟმა — ისრაელის არმიის ოფიცერმა — გამოცდები ჩააბარა უნივერსიტეტში, სწავლობს ბიზნესს და, ერთდროულად, ჩინურ ენას. ქალიშვილი ფერწერას მისდევს... შვილიშვილი გვეზრდება.

...საქართველოში ამის წინათ ჩამოვედი. ტრადიციისამებრ, ვცდილობ ქვეყანა ღრმად შევისწავლო. უკანასკნელ ხანს რესპუბლიკამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საგარეო ურთიერთობები. დღის წესრიგში დგას საქართველო-ისრაელის კავშირურთიერთობების გაღრმავება. ისრაელი მოელის ბ-ნ ე. შევარდნაძის ვიზიტს, როგორც პროფესიონალს, მეამაყება, რომ ამ პროცესში ვმონაწილეობ.

**მიხეილ ფიჩხაძე.**

**სააგენტო — „თთ"**

საინფორმაციო სააგენტო
თბილისი-თელ-ავივი
תבליסי-תל-אביב

შეიქმნა საინფორმაციო სააგენტო **„თთ"** (თბილისი—თელავივი). სააგენტო მოამზადებს მასალებს საქართველო-ისრაელისათვის პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ეკოლოგიის, განათლების, სპორტის საკითხებზე.

სააგენტოს ძირითადი პრინციპებია — აქტუალობა, დამოუკიდებლობა, აზრის თავისუფლება, თვალსაზრისის ახლებურობა, შეხედულებების ალტერნატიულობა.

მიზანი — საინფორმაციო ხიდის გადება ორ ქვეყანას შორის. ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების განმტკიცება.

სააგენტოს ინტერესების სფეროშია დამყარდეს კინო, ტელე, ფოტო და რადიომასალების გაცვლა. სააგენტოს ხელმძღვანელობს ჟურნალისტი მიხეილ ფიჩხაძე.

ჩვენი გაზეთი დრო და დრო სიამოვნებით დაუთმობს ადგილს სააგენტო „თთ"-ს მიერ მომზადებულ მასალებს.

# „ბედი საპნის ბუშტია"...

**ვერძლი** მრეცხავი ქალის ეს სევდანარევი სიმღერა უნებურად ჩვენი პრობლემითაც იტვირთება და დაახლოებით ასეთ ლოგიკურ გაგრძელებას ითხოვს — არც ბედი გვაქვს, არც საპონი, და ასე შემდეგ...

გთავაზობთ ამ პაროდიის ვრცელ მეტაფრაზს.

საქართველოში უკანასკნელ ხანს კომერსანტების შემოქმედებითი პოტენციისა და განუზომელი აქტიურობის წყალობით საპნის ბუშტიც კი „თავს იფასებს". ქუდბედიანია ის მომხმარებელი, ვისაც ფრიად დაფასებულ საქონელზე იოლად მიუწვდება ხელი, ბედს უჩივიან მხოლოდ ისინი (აბა, სხვას ვის უნდა უჩივლონ?!), რომელთა მოთხოვნილება და შესაძლებლობა თავისუფალმა თუ თავაშვებულმა ბაზარმა სხვადასხვა პოლუსზე გადატყორცნა.

ღმერთმა ნუ ქნას, საპნისა და საპონატების დეფიციტით ინსპირირებულმა პარაზიტებმა შემოგვიტიონ, თორემ ალბათ საერთაშორისო დონის ფართომასშტაბიანი აქციებიც ვეღარ გვიშველის.

ამ პროგნოზს მკითხველისათვის გუნება-განწყობა რომ არ დაემძიმებინა, ვერის უბნის მელოდიის ოპტიმისტური გაგრძელება ორთაჭალაში — ერთადერთ ეროვნული საპნის ქარხანაში ვცადეთ. მაგრამ პრობლემის არსსა და ოფიციალურ დოკუმენტებს რომ ჩავუღრმავდით, ოპტიმიზმი საპნის ბუშტივით გაგვიქრა.

რატომ?

პასუხი მოსაწყენი ციფრებით იწყება.

ქარხნის წლიური მინიმალური სიმძლავრე 13500 ტონა საპნის პროდუქციის წარმოებას ითვალისწინებს. რიტმული მომარაგების პირობებში ქარხანა მაქსიმალურად იყო დატვირთული, თუმცა რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნებს 50 პროცენტით აკმაყოფილებდა. ქარხანამ შარშან 700 ტონა სარეცხი საპონი (ანუ სიმძლავრის მხოლოდ 5 პროცენტი) აწარმოვა, წელს კი ექვს თვეში 400 ტონას ვერ გადააჭარბა.

— პროდუქციის წარმოების ასეთი მკვეთრი დაცემა რამ გამოიწვია, — ვეკითხებით ქარხნის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნოდარ გოზალიშვილს.

— საპნის წარმოებისათვის საჭირო ცხიმოვანი ნედლეული და დამხმარე მასალები რესპუბლიკას რუსეთიდან შემოჰქონდა. 1991-1992 წლებში წარმოებული მინიმალური რაოდენობის პროდუქციაც ქარხნის ტრადიციულ მომწოდებელთან პირდაპირი კავშირების წყალობით შეიქმნა. საბანკო ოპერაციების შეწყვეტის, ნედლეულისა და დამხმარე მასალებზე ფასების ასტრონომიული ზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამო ქარხანა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მით უმეტეს, მომწოდებელი ახლა ღირებულების წინასწარ გადახდას ითხოვს, და ნედლეულის შეძენას ვეღარ ვახერხებთ.

— საყოველთაოდ ცნობილია ეროვნული ბანკის ეროვნული თვისება-ხელგაშლილობა. დახმარებისათვის რატომ არ მიმართეთ?

საყვედურების ნაკადს საქმიანი მიმოწერების საქაღალდე აჩერებს.

თებერვალში სურსათის სამთავრობო კომისიამ განიხილა ქარხნის ადმინისტრაციის წინადადება საპნის ნედლეულის შესაძენად 400 მილიონი მანეთი სესხის გამოყოფის თაობაზე და როგორც იქნა ეროვნულმა ბანკმა საშუალება გამოძებნა, მაგრამ დღემდე რუსეთის ბანკში მისი გადარიცხვა ვერ მოახერხა.

პრობლემა!

— მაშ, ამდენი საპონი (სინდის-გაურეცხავებს რომ ენატრებათ!) მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელებზე ფეხმორთხმულ ქალებთან საიდანღა გაჩნდა?

— ძირითადად რუსეთიდან აქვთ შემოტანილი. რასაკვირველია, ფირმების მეშვეობით მათ ხელში ჩვენი პროდუქციაც ვარდება. ქართველი ბიზნესმენები, რომელთაც რუსეთში აქვთ ფირმები, იქაურ ბანკში ფულს გვირიცხავენ და ნედლეულით უზრუნველგვყოფენ ხოლმე. ამიტომაც მხოლოდ მათ დაკვეთებზე ვმუშაობთ. ერთ ცალ საპონს 75 კუპონად ვაძლევთ, ისინი კი იმ ფასად ყიდიან, რაც უჯდებათ. ქარხნის სარგებელია საწარმოს დაუტვირთაობის გამო 160 მუშიდან დარჩენილი 50 მუშის მატერიალური უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დამკვეთის მიერ შემოტანილი ნედლეულიდან 2 მილიონი მანეთის საპონი დავამზადეთ და ფრონტზე უფასოდ გავგზავნეთ. შესრულებული სამუშაოსათვის მიღებული თანხიდან კი 300 ათასი მანეთი თავდაცვის ფონდში გადავრიცხეთ.

თუ ეროვნული ბანკი რუსულ ფულს დროულად არ გადარიცხავს, სამწუხაროდ, დირექტორი სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს, და კატეგორიულად აცხადებს — ანგარიშზე 8 მილიონი გვაქვს, ამ თანხას მთლიანად თავდაცვის ფონდში გადავრიცხავთ და ქარხანასაც დავკეტავთო.

გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელი! „მოუხმარებელი საპნის" მწარმოებელი ქარხნის დაკეტვა მაინცდამაინც ბუღს არ დაუკარგავს პოტენციურ მომხმარებელს, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა მოვალის იმედით მაინც ესულდგმულა? მით უმეტეს, ბატონი ნოდარი გვარწმუნებს — ნედლეული რომ მქონდეს, მოსახლეობა 250 მანეთად ან 1000 კუპონად კი არა 100 კუპონად შეიძენდა საპონსო.

ჩქარა, თორემ რაც მეტად ფერხდება რუსეთის ბანკში ფულის გადარიცხვა, მით უფრო მატულობს ნედლეულისა და, შესაბამისად, საპნის ფასიც, და უსაპნობის საფრთხეც.

— ვთქვათ ფულის გადარიცხვა არ მოხერხდა. არ შეიძლება საპნის იაფად წარმოებისათვის ადგილობრივი რესურსების გამონახვა?

თურმე ნუ იტყვით, რესპუბლიკას გამოუყენებელი ნედლეულის ბაზა ჰქონია და ამდენხანს პატრონი რომ გამოჩენილიყო, საქმე სამათხოვროდ აღარ გაგვიხდებოდა. საპნის წარმოებისათვის აუცილებელი სინთეზური ცხიმოვანი მჟავები პარაფინისაგან მზადდება, რომლის შემცველობა რუსეთის ნავთობში დაახლოებით 6-9 პროცენტია, ჩვენში კი იგი ზოგიერთ ჭაბურღილზე, მოპოვებულ ნავთობში 25 პროცენტამდე აღწევს. ჩვენი ნავთობის დეპარაფინირების შედეგად მიღებული ნედლეული ორმაგად უზრუნველყოფს იმ სინთეზური ცხიმოვანი მჟავების დამზადებას, რომლის შემოტანა დღეს ასე ჭირს. ადრე ერთი ცისტერნის ანუ 60 ტონა ცხიმის შემოტანა თუ 26 ათასი მანეთი ჯდებოდა, ახლა ეს თანხა 24 მილიონ მანეთს აღემატება, პლუს ახლა შემოღებული საბაჟო გადასახადი — 15 პროცენტი, და 5 ათასის ნაცვლად, ერთი მილიონი მანეთი ტრანსპორტირებისათვის! — თავზარდამცემი 29 მილიონი!

ამიტომ საპნის ქარხნის დირექციამ ნავთობის დეპარაფინირების შესახებ წინადადებას ადრესატი რამდენჯერმე მოუძებნა, მაგრამ...

მრავალწერტილის მიღმა მრავალი ბუნდოვანი ქვეტექსტია, სინათლე და სიცხადე კი მხოლოდ საპნის დეფიციტშია.

ვაითუ, ამ დეფიციტის სუსხი ხვალ მათაც იგრძნონ, დღეს ამ საწარმოს თანადგომა რომ შეუძლიათ და თავს არ იწუხებენ, ვინ იცის! ბედი საპნის ბუშტია...

**ლეილა კოშკაძე.**

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

### ყურადღების ცენტრშია რუსეთი

**დასავლეთის წამყვანი სახელმწიფო და პოლიტიკური წრეები დაძაბული ყურადღებით ადევნებენ თვალს მოვლენათა განვითარებას რუსეთში, სადაც პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობა სუფევს. დაპირისპირება [illegible] ხელისუფლებას შორის გადამწყ[illegible] თუ როგორ დამთავრდება ეს დაპირისპირება, ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობს.**

გაზეთი „ნიუ-იორკ-ტაიმსი" ბეჭდავს სარედაქციო სტატიას, რომელშიც კერძოდ წერს: 2 წლის წინათ მოსკოვმა იმპერია დაკარგა. 25 მილიონი რუსი დატოვა რესპუბლიკებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს. ამჟამად, ელცინის მთავრობის მოწინააღმდეგენი ნაციონალისტებიდან, აგრეთვე, ცალკეული დაჯგუფებები, დემორალიზებული და დანაწევრებული შეიარაღებული ძალებიდან, ახალი რუსული იმპერიის შექმნაზე ოცნებობენ, ისინი მარტო ოცნებით არ იფარგლებიან. ზოგიერთმა მეთაურმა რუსეთის რესპუბლიკებში განლაგებულ ჯარების ნაწილებში უკვე მოქმედება დაიწყო. როგორც გაზეთი აღნიშნავს, „იმპერიისადმი ნოსტალგიით შეპყრობილნი ვერ შეძლებენ წარმატების მიღწევას, მაგრამ მათ მცდელობას შეუძლია ახალი საერთაშორისო კრიზისების გამოწვევა და რუსეთელების ტანჯვის გაძლიერება". რუსეთი კომუნიზმის დაცემით გამოწვეული პოლიტიკური კატაკლიზმების შუაგულში იმყოფება, რომლის გაკონტროლება არავითარ გარეშე ძალას არ შეუძლია და ამაზე არც უნდა ოცნებობს. მაგრამ ამერიკელები ძალზე დაინტერესებულნი არიან საბოლოო შედეგით, რათა თავისთავს ნება მისცენ, გულგრილნი დარჩნენ. ვაშინგტონს შეუძლია მათრახისა და თაფლაკვერის გამოყენება, რათა დაეხმაროს ელცინს, უპასუხოს ნაციონალისტების გამოწვევას. თაფლაკვერი იმაში მდგომარეობს, რომ თანამიმდევრული პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა გაუწიოს რუსეთში რეფორმების მომხრეებს. მხოლოდ რეფორმებს შეუძლიათ აღადგინონ რუსეთის დიდება და წონა, მაშინ, როცა იმპერიული ოცნებები მხოლოდ ქიმერაა. ვაშინგტონსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ აგრეთვე უშუალო ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ რუსეთს დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფისა და სამხედრო დარგების სამშვიდობო რელსებზე გადაყვანის პროექტების განხორციელების საქმეში. გარდა ამისა, დასავლეთს შეუძლია უფრო აქტიურად და დაჟინებით მოითხოვოს, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსული უმცირესობა სარგებლობდეს მოქალაქეთა ყველა უფლებით. ამასთანავე, საჭიროა ნაციონალისტების აშკარად გაფრთხილება, რომ სამხედრო ჩარევის პოლიტიკის გაგრძელებამ, არარუსულ რესპუბლიკებში შეუძლია ქვეყანა ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქციოს, რომ ოცნებას წარსულზე მომავალი არ გააჩნია."

### მარშალ ევგენი შაპოშნიკოვის ინტერვიუ

**რადიოსადგურ „თავისუფლების" კორესპონდენტს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ევგენი შაპოშნიკოვმა დასმულ შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს იგი რუსეთისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიებზე შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ, კერძოდ, საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტზე და რუსეთის პოზიციაზე, ამ ლოკალურ ომთან დაკავშირებით, განაცხადა:** მე ვფიქრობ, რომ ომი აფხაზეთში ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთისათვის არ არის სასარგებლო. ასე მაგალითად, თუ წარმოიდგენთ, სიტუაციას, როცა საქართველო სამხედრო გამარჯვებას აღწევს, ამ შემთხვევაში, რა მოხდება? ჩვენ დავინახავთ იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომლებიც მთიანი ხალხების კონფედერაციაში შედიან, დაიწყებენ იქ რეზერვისტების გაგზავნას, ეს კი უკვე რუსეთია, რუსეთს, უნდა თუ არა, დაიწყებს ომს საქართველოსთან. მეორეს მხრივ, თუ გამარჯვების მიღწევას აფხაზეთი დაიწყებს, მაშინ საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, მიმართავს გაეროს ან სხვა ორგანიზაციებს, იქიდან დაიწყებს ჩამოსვლას შეიარაღებული ფორმირებები, მაგრამ, ისინი არც ქართული იქნებიან და არც რუსული. ამით ჩვენ კიდევ უფრო გაუბიძგებთ კონფლიქტის გაჩაღებას, რომელიც ისედაც გამოიწვევს აფხაზეთში რუსეთიდან სხვადასხვაგვარი ფორმირებების ჩასვლას. ამიტომ, მე ვერ ვხედავ ამ პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას.

### ჩინეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჩი ხაოტიანმა ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული არმიის შექმნის 66-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ მიღებაზე განაცხადა: ეკონომიკურ მშენებლობაზე ძალისხმევის გაძლიერებასთან ერთად ჩინეთმა უნდა განამტკიცოს თავისი თავდაცვითი ძლიერება.** მან თქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ატარებს „აქტიური თავდაცვის" სამხედრო-სტრატეგიულ კურსს. მინისტრმა ხაზი გაუსვა სამხედრო მშენებლობის ხარისხის თვისობრივად ამაღლების აუცილებლობას. ჩინური სპეციფიკით „რჩეული ჯარების" შექმნას, არმიის რეფორმის გატარებას. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ჩინეთის არმიამ „უნდა გააგრძელოს პარტიული და საარმიო ღირსშესანიშნავი ტრადიციები", კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს რეფორმებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

### გაეროს გენერალური მდივანი მიესალმა

**გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს-ბუტროს გალი მიესალმა ნატოს საბჭოს გადაწყვეტილებას გამოიყენოს საჰაერო დარტყმები ბოსნიაში, თუ არ შეწყდება ბოსნიელი სერბების შეტევითი ოპერაციები მუსლიმანურ ქალაქებსა და ანკლავებზე.** ამასთანავე, მან კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს აქციები გაეროს და პირადად მისი თანხმობით უნდა გადაწყდეს.

### არკადი ვოლსკი: ადრე თუ გვიან, სახეშეცვლილი კავშირი წარმოიქმნება

**ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტთა მოწოდებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ, — განუცხადა ჟურნალისტებს მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარე-კოორდინატორმა არკადი ვოლსკიმ.** იგი შეხვდა პრესის წარმომადგენლებს „ახალი თანხმობისათვის" ფორუმის დამფუძნებელთა კრების შემდეგ, რომელიც ხუთშაბათს გაიმართა.

ახლახან ნურსულთან ნაზარბაევმა და ისლამ კარიმოვმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურებს მოუწოდეს, აგვისტოში გამართონ შეხვედრა, რომელიც იმპულსს მისცემს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. მათ, კერძოდ, წინადადება წამოაყენეს ეკონომიკური კავშირისა და მისი მაკოორდინირებელი ორგანოების შექმნა, კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების რეალიზაცია, აგრეთვე, სახელმწიფოთაშორისი ბანკის თაობაზე შეთანხმების ამოქმედება.

**შეეხო რა თანამეგობრობის პერსპექტივებს, არკადი ვოლსკიმ გამოთქვა რწმენა, რომ „ადრე თუ გვიან, სახეშეცვლილი კავშირი ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე აღდგება". არკადი ვოლსკიმ აღნიშნა, რომ წარმოებაში ახლანდელი დანაკარგების 60 პროცენტი გამოწვეულია სამეურნეო ურთიერთობის გაწყვეტით, და დასძინა: „ახლანდელი ეკონომიკური უგუნურების მოთმენა უბრალოდ წარმოუდგენელია".**

**მისი აზრით, ახალ კავშირს საფუძვლად უნდა დაედოს „არა იმდენად სლავური ან არასლავური წარმოშობის პრინციპი, რამდენადაც დაეყრდნოს ეკონომიკური სივრცის მიზანშეწონილობას".**

**ვერც ერთი რესპუბლიკა ახლანდელ პირობებში მარტო ვერ გაძლებს, — ხაზი გაუსვა მან.**

### სომხეთის ამბები

#### მანეთი რჩება

**სომხეთს** დააპირდნენ, რუსეთის ნიმუშის ახალი ფულადი ნიშნების გადაცვლას არსებული ძველი ნაღდი ფულის სანაცვლოდ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან დაბრუნდა სომხეთის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის გრანტ ბაგრატიანის მეთაურობით. — ამიტომ, როგორც აღნიშნა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მისმა პრეს-მდივანმა ვლადიმერ მანოიანმა, ხვალინდელი დღის იმედი უნდა გვქონდეს. ჯერჯერობით კი, თქვა მან, 1961-92 წლებში გამოშვებული ნებისმიერი ღირსების კუპიურები მოქმედებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და მათი მიღება სავალდებულოა ვაჭრობისა და მშრომელთა მომსახურების ყველა სფეროში.

#### ბინების შეძენის წესი

**გამოქვეყნდა** პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის მიერ ხელმოწერილი კანონი საბინაო ფონდის პრივატიზაციის წესის შესახებ. კანონის თანახმად, ყოველ მოქალაქეს, რომელიც შეიტანს განცხადებას საბინაო-საექსპლოატაციო ბიუროში, უფლება აქვს, ორი თვის ვადაში გახდეს საკუთარი საცხოვრებელი ფართობის მფლობელი, [illegible] იხდის მომსახურების საფასურს, რომელიც სომხეთში დადგენილი ერთი თვის მინიმალური [illegible] ტოლია.

## ამ ტრიალ ქვეყანაზე

## ქარავანი ოჩამჩირისკენ მიემართება

**მრავალი** ოზურგეთელი აფხაზეთში იარაღით ხელში იბრძვის საქართველოს მთლიანობის დასაცავად. მშობლიური რაიონიდან მათთვის თითქმის ყოველდღიურად იგზავნება ტონობით სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები.

...სტარტზე დგას პურ-პროდუქტების კომბინატის „კამაზის" მარკის სამი მანქანა. კომბინატელებმა საკუთარი ხელით ჩატვირთეს ტონობით პურის ფქვილი, ქატო, გამომცხვარი პური, ხორცი, კონსერვები, სხვადასხვა სახის პროდუქტები, მარშრუტი? ოჩამჩირის რაიონის სოფელი ცაგერა — მოსახლეობასა და მეომრებს!

ოზურგეთის რაიონის გამგებელმა გიორგი გოგიბერიძემ გზა დაგვილოცა, წერილებიც გაგვატანა ზუგდიდისა და ოჩამჩირის გამგებლებთან, ცაგერას მოსახლეობასთან.

დილის 11 საათზე დაიძრა ჩვენი ქარავანი. დელეგაციაში შედიან კომბინატის თავკაცი ლადო ხაჯთასი, ამ საწარმოს პასუხისმგებელი მუშაკები ენვერ შაქულაშვილი, თენგიზ ლომიძე, მძღოლები რიჩარდ გაბიდავა, ვეფხია ლომაძე, ილია ჩანტლაძე, დათო ბაკურაძე.

...სადღაა ის მწვანე, სავსე, ხმაურიანი ტრასა. ჩამიჩუმიც არ ისმის, კანტიკუნტად თუ ჩაგივლის რომელიმე მანქანა, ისიც ჯარისკაცებითა და საომარი მასალით სავსე. თვალის ერთი მოვლებითაც იგრძნობა ომის სუსხი.

### ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

**ვისაც** ადრინდელი ზუგდიდი უნახავს, ახლა ვეღარ იცნობს... გადატვირთულობა მისი [illegible], თვალის მომჭრელი კოლორიტი, წელიწადის ყველა დროის რა ჩინებული სანახავი იყო! მისი ამაყი, ლამაზი, შნოიანი მოქალაქენიც დაღვრემილნი, დარდით დამძიმებული დაიარებიან ქუჩებში...

რაიონის გამგეობაში შევიარეთ. გამგეობის თავმჯდომარე ოთარ ფაცაცია აფხაზეთში წასულიყო, ადგილზე მის მოადგილეს ლერი ქიტიაშვილს შევხვდით. ოზურგეთის გამგებლის წერილი გადავეცით. გადაიკითხა, სახეზე დიდი კმაყოფილება დაეტყო:

— მადლი უფალს, გურულები არ გვივიწყებენ, — გულში ჩამწვდომად გვითხრა მან, — ჩვენ ალალი ძმები ვიყავით და ვართ, თვალი დაუდგეს ამ სამარცხვინო შინა ომს. მიწა ერთი გვაქვს და მამული, რა ძალა გასტეხს ჩვენს ერთობას.

როგორც გამგეობაში გვითხრეს, ამჟამად ათასობით ზუგდიდელი იბრძვის აფხაზეთის ფრონტებზე, ბევრი მათგანი ომის დაწყების დღიდან სანგრიდან არ ამოსულა, ნაყოფიერად იღვწის საგანგებო შტაბი: მისი ძალისხმევით, აფხაზეთში თითქმის ყოველდღიურად იგზავნება სულ ცოტა 3 მილიონი მანეთის ღირებულების სურსათ-სანოვაგე: პური, ხორცი, კონსერვები, ძეხვი, მედიკამენტები... ზუგდიდელი ექიმები საჭირო დახმარებას უწევენ დაჭრილ მეომრებს. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

### სოფელი ცაგერა

**ოჩამჩირე** დაცარიელებული გვეჩვენა. შენობებს შორის ავტომატიანი მეომრები ჭარბობენ. ხასიათი წაგვიხდა, როცა ქალაქის მთავარ ქუჩაზე სამგლოვიარო პროცესიამ ჩაგვიარა. — [illegible] ბრძოლაში გმირულად დაღუპულ [illegible] მიასვენებდნენ. მისი მშობლებისა და ჭირისუფალთა მოთქმა-გოდებამ გული მოგვიწურა, ჩვენი ალალი ცრემლიც თან წაიღო იმ ცხონებულმა.

შუადღისას მივაღწიეთ ცაგერას. სოფლის ცენტრში დავდექით. შემოგვეხვივნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ავტომატიანი ბიჭები, მოვიდნენ მათი ხელმძღვანელებიც. გამოგვკითხეს, ვინ ვიყავით, რატომ ჩამოვედით...

ჯარისკაცებმა და მოსახლეობამ სწრაფად დაამცალეს ოზურგეთელთა კეთილი გულით მოტანილი ნობათი და მის განაწილებასაც შეუდგნენ.

იქ დისლოცირებული ბატალიონის უფროსის მოადგილემ რომან ხეცურიანმა და ცაგერას გამგებელმა ბიჭიკო თუღუშიანმა დაგვათვალიერებინეს ომით გაჩანაგებული სოფელი. ათობით სახლი მიწასთან არის გასწორებული, შავოსანი ქალების მოთქმა-გოდება ქვასაც ატირებს. ცაგერა იარაღით ხელში აღუდგა სეპარატისტებს, ამ პატარა სოფლის 53 მცხოვრები შეეწირა აფხაზთა ავანტიურას. მოწინააღმდეგის ავიაციამ 4-ჯერ დაბომბა. ვინ აღწერს ზარალს, ვინ მოსთვლის აქაურთა ტკივილსა და ცრემლს.

მეზობელ ტამიშში კი ახლაც ნახულობენ ჯალათთა მიერ დახოცილთა გვამებს, წარამარა გაისმის ავტომატის კაკანი, ხანდა[illegible] ქვემეხიც დაიქუხებს ხოლმე...

### ჩვენს გადასარჩენად სხვა წამალი არ არსებობს

დაგვიანებული რეპორტაჟი

### ჩემი მეგობარი რომან მელია

**სად** არ შეხვდება კაცი კაცს. ცაგერაში მოულოდნელად შემოგრიალდა მეომრებით სავსე ავტომანქანა, კაბინიდან სამხედრო ფორმიანი გოლიათი ვაჟკაცი გადმოვიდა, თვალს არ დავუჯერე, როცა ქალაქ ფოთის მერი, ძმასავით საყვარელი რომან მელია ვიცანი. ერთმანეთს გადავეხვიეთ (სამი თვეა არ გვენახა), სალამ-მოკითხვის შემდეგ მითხრა, ფოთელი მებრძოლები ჩამოვიყვანე, თავად ვუდგავარ სათავეში.

ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ ამ კაცს. მისი სახელი პირველად მაშინ გახმიანდა, როცა ამ ორიოდე წლის წინათ ფოთში გამართულ წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. ახლა კი თავს არ ზოგავს სამშობლოს სადარაჯოზე აფხაზეთში. გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები!

### ალალი ცრემლი

**სოფლის** თავკაცებსა და ბატალიონის მეომრებთან ერთად ვინახულეთ ციცინო კოპალიანის გადაბუგული სახლ-კარი, მტრის ყუმბარას ნანგრევებად ექცია ორსართულიანი სახლი, სხვა დამხმარე ნაგებობანი. ღია ცის ქვეშ დარჩა ოჯახის 5 წევრი, 4 მცირეწლოვანი ბავშვი, ოჯახის [illegible] უფროსი. მდუღარე ცრემლებს ღვრიდა იმედგადაწურული დიასახლისი, მეზობლები თავს ევლებოდნენ და დახმარებას ჰპირდებოდნენ. ჩვენი ჰუმანიტარული ქარავნის უფროსმა, ოზურგეთის პურ-პროდუქტების კომბინატის დირექტორმა ლადო ხაჯთასმა ჯიბიდან 50 ათასი მანეთი ამოიღო და საჩუქრად გადასცა სასოწარკვეთილ ქალს. მერე, თავშეყრილ ცაგერლებს წაუკითხა ოზურგეთის გამგებლის გიორგი გოგიბერიძის იმედისმომცემი, მეგობრული წერილი, სადაც ის ცაგერას მოსახლეობას დახმარებასა და თანადგომას აღუთქვამს. ძნელია [illegible] იმის აღწერა, რაც ამას მოჰყვა. ძმურმა ბარათმა ფრთები შეასხა მოსახლეობას. ქალებსაც და ვაჟკაცებსაც სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდათ. აქვე თბილად გაიხსენეს, რომ ოზურგეთის გამგებელი გიორგი გოგიბერიძე და პარლამენტის წევრი კოტე ბერიძე ადრე მოხალისეებს თან ჩაჰყვნენ ცაგერაში და გვერდში ედგნენ მეომრებს მშობლიური მიწის დასაცავად.

ლოთი ქობალიას მებრძოლებმა დიდი ამაგი დაგვდესო, გვითხრეს ცაგერას მშრომელებმა. ისინიც გულისტკივილით დასძინეს, ჭორებს ავრცელებენ, თითქოს ქობალიას მებრძოლები და მხედრიონელები დანა-სისხლად არიან ერთმანეთთანო. არა, ისინი მხარდამხარ მამაცურად იბრძვიან ჩვენი სახატი საქართველოს მტრებსო.

### ოჩამჩირის გამგებელთან

**ცაგერადან** მობრუნებულნი, ოჩამჩირეში შებინდებისას ჩავედით, გამგეობის წევრები და მისი ხელმძღვანელი მაინც ადგილზე დაგვხვდნენ. დიდი ხნის მეგობრებივით მიგვიღეს. აქვე მოვიდა ოზურგეთელთათვის ახლობელი კაცი ვალერი როსტომბაია, იგი ახლა ოჩამჩირის კომისარია. გამგებელმა ბუჩა გაგუნიამ თავისი ოზურგეთელი კოლეგის წერილი წაიკითხა და მადლიერებით განაცხადა:

— გაჭირვების ჟამს ამაზე უკეთეს განძს, ეს წერილი რომ არის, კაცი ვერ ინატრებს. ასეთი ძმური დახმარების ხელი დღეს ძალზე გვჭირდება ოჩამჩირელებს.

მერე რაიონის საჭირბოროტოზე გვესაუბრა: — ყველა სხვა გაჭირვებას რომ გაუძლოს კაცმა, უწყლობა გვახრჩობს, — აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ მოქვში სასმელი წყლის სათავე გადაკეტეს, თავიანთი მოდგმის ხალხიც არ დაინდეს — ამ წყლით აფხაზებიც ერთნაირად სარგებლობდნენ. ჩვენს რაიონში 113 სოფელია, მათ შორის 90-მდე სოფელი აფხაზთა ხელშია. ერთი სიტყვით, მძიმე საომარ ვითარებაში ვართ. ახლა მთავარია ომი დაასრულოთ. მშვიდობა დავამყაროთ და ყველაფერს ეშველება, — გვითხრა დასასრულს რაიონის თავკაცმა.

### ასეც ხდება

**ცოდვა** გამხელილი სჯობს, არ მინდოდა ამის დაწერა, მაგრამ არ ვიქნებოდი მართალი: ოჩამჩირეში მეომრებისა თუ მოსახლეობისგან არაერთგზის მოვისმინე, რესპუბლიკის პარლამენტში წესრიგი არ არის, ზოგიერთი ამ გადანია ომში უმაღლეს მთავარსარდალსაც კი უხირდებაო.

ცაგერასთან ოცეულის მეთაურმა ბადრი კოპალიანმა გაგვიცხადა: „ამას წინათ, ჩვენთან ჩამოვიდა ირაკლი წერეთელი, შეიარაღებული ამალით. გაიარ-გამოიარა და უკანვე გაბრუნდა. ის ავტომატები მაინც დაეტოვებინა ჩვენთვის, გამოვიყენებდით, ზოგი მეომარი უიარაღოდ გვყავს. მე პირადად შემრცხვებოდა მის მაგიერ!"

### წყალწაღებულისა არ იყოს...

**ამ** დღეებში რუსეთის საელჩოში ბრიფინგი გაიმართა, ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის. რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ზემსკიმ განაცხადა, რუსეთი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასო, ამაშინა ღმერთმა. მაგრამ სად ჩანს ამ „ცნობის" შედეგი. ჩემი თვალით ვნახე რუსული ჭურვების ნამსხვრევები ოჩამჩირის რაიონის ფრონტისპირა სოფლებში, ამ ჭურვებით დანგრეული სოფლები.

მარტო ცნობა რა ბედენაა!

ეს ერთ გურულ ანეკდოტს ჰგავს: ადიდებულ სუფსას სოფლის მეწისქვილე ზევერიკა სალუქვაძე მიჰქონდა. განწირული შველას ითხოვდა, ამ დროს ნაპირზე მდგარ თანასოფლელს დაუძახავს, ზევერიკა ხარ, გიცანიო, მიაძახა თურმე. მე ოჯახაქორო, ცარიელი ცნობა რა შაჭირიადამ მინდა, — ამოსძახა მორევში შეთრეულმა, — დახმარება მინდა, ვიხრჩობიო.

ვინც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას იქ, ადგილზე გაეცნობა, ცხადად წარმოიდგენს: ჩვენს გადასარჩენად საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარების გარდა, სხვა წამალი არ არსებობს.

**ბეგლარ ჩხაიძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთ. კორ.**

ივლისი.

**სოხუმი.** [illegible] სოხუმში [illegible] ქალაქის [illegible] ჯგუდაუთისა და რუსეთის მხა-რეთა წარმომადგენლები. რუსულ მხარეს ხელმძღვანელობს რუ-სეთის [illegible] სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდო-მარე [illegible]. საქართვე-ლოს მხარეს უხელმძღვანელებს სახელმწიფო მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომად-გენელი, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე [illegible], ხოლო ჯგუდაუთის მხარეს წარმოადგენს [illegible] ქ. სოხუმის ადმინისტრაციის ყო-ფილი ხელმძღვანელი.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგ-ვარებისათვის კომისიამ განიხილა [illegible] ამ კომისიის შესახებ და [illegible] ორგანიზაციული საკითხი. [illegible] კომი-სიის სხდომაში მონაწილეობას ღებულობენ გაეროს და დამო-უკიდებელ სახელმწიფოთა თა-ნამეგობრობის [illegible] ორგანიზაციების წარმომადგენ-ლები.

წინასწარი მონაცემებით, ს. შოი-გუ [illegible] რუსული მხარის შტაბ-ბინად [illegible] ერთ-ერთი შენობა სოხუმში. მან განაცხა-და, რომ დაინტერესებულია სო-ხუმში ელექტროენერგიის, წყლი-სა და ტრანსპორტის კარგი მომარაგებით.

**სოხუმი.** („იბერია — „ნე-გა"). ქ. სოხუმის კომენდანტმა გასცა ბრძანება სოხუმის აერო-პორტ ბაბუშერადან სამოქალაქო ავიარეისების შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ქალაქ სოხუმის თავდაცვის უზრუნველყოფის განმტკიცების მიზნით.

**თბილისი.** თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, მტაცებელ ცხოველებს თბილისის ზოო-პარკიდან ბაქოში გადაიყვანენ იმის გამო, რომ დღევანდელ პი-რობებში, შეუძლებელია ამ ცხო-ველების გამოკვება.

**ახალქალაქი.** ამ დღეებში ახ-ალქალაქის რაიონის მშრომე-ლების სახელით, რაიონის გამ-გებლის პირველმა მოადგილემ, როსტომ [illegible] სოხუმში [illegible] მებრძოლთა ოჯახებს [illegible] 3.7 ტონა ქართული ყველი. რაიონის წარმომადგე-ნლები მიიღო აფხაზეთის ავტ-ონომიური რესპუბლიკის ხელ-მძღვანელობამ.

ასევე [illegible] ახალ-ქალაქის [illegible] აპრილ-მა-ისში [illegible] და [illegible] 4 ტონა კარტო-ფილი [illegible] ბაზრისა და გა-მიჯნის მეურნეობების მშრომე-ლებისაგან, მარხში [illegible] მებრძოლებმა მიიღეს 8.8 ტონა ქართული ყველი. [illegible] ახალქალაქის რაიონის სოფლების მაცხოვრებლებმა 5 ტონა [illegible] სამშობლოს დამ-ცველებს.

ამჟამად მიმდინარეობს [illegible] შემოწირულობების შე-გროვება აფხაზეთში მებრძოლთა-თვის.

**რუსთავი.** გუშინ ქ. რუსთავ-ში პურის [illegible] სისტემა. [illegible] ამ [illegible] სახე აქვს. ამასთან დაკავშირებით, საქართ-ველოს კონსტიტუციურ-დემოკ-რატიულმა პარტიამ მოითხოვა, რომ რუსთავის კომერციულ სტრუქტურებს [illegible] გადაეცეს [illegible] პურის 5 პროცენტი, [illegible] ქალაქის სტრუქტურებს მიეცეთ ამ პროდუქციის შეძენის საშუა-ლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახაზინო სისტემა კომერციალი-ზებული იქნება. კონსტიტუ-ციურ-დემოკრატიულმა პარტ-იამ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წაუყენა მოთხოვნა: სახაზინო სისტემის პროგრამაში დაუყოვნებლივ იქ-ნას შეტანილი კომერციული სტრუქტურების საკითხი.

**თბილისი.** რესპუბლიკის ფუ-ლადი მიმოქცევის სისტემაში კუ-პონების შემოღებით, რომელიც ეროვნული ვალუტის წინამორბ-ედია, წლევანდელი წლის აპრ-ილიდან მნიშვნელოვნად გაუმჯ-ობესდა მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასების გაცემისა და პენსი-ონერებზე პენსიების დარიგების მდგომარეობა, მაგრამ ეკონომი-კაში შექმნილი სიძნელეების გა-მო, დღითიდღე მიუწვდომელი ხდება სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდა.

შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო [illegible] მინიმა-ლური [illegible] ამა წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შეად-გენს 144.000 კუპონს. ეს მაშინ, როცა მინიმალური ხელფასის რა-ოდენობა 4.000 კუპონია, ე. ი. [illegible] მინიმალური დონე მნიშვნელოვნად ჩამო-რჩება საარსებო მინიმუმს.

შემთხვევა

# გაუსწორდნენ ლინჩის წესით

[illegible] სოფლის [illegible] დიღმის მასივის მე-[illegible] მდებარე ერთ-[illegible] ახალგაზრდა, ერთი [illegible], ხოლო ორი სამოქა-ლაქო [illegible]. მათ [illegible] გოგონას უსახე-[illegible] ნისლი — მებრძოლები ვართ, [illegible] გამყიდველმა [illegible] ავტომატის ჯერი [illegible] ტყვიამ [illegible] მდებარე სახლის ეზოში შეაღწია, მძიმედ დაიჭრა [illegible] წლის მარიამ [illegible] და [illegible] გამყოლი მამაკაცი, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს.

**გია დოლიძე** — დიღმის მა-სივის პოლიციის უფროსი ოპე-რრწმუნებული: ჯიხური ჩვენი განყოფილებიდან ორასიოდე მეტ-რის დაშორებით მდებარეობს. სროლის ხმაზე, რასაც კივილი მოჰყვა, გარეთ გამოვცვივდით და სასწრაფოდ ჯიხურისკენ გავეშურ-ეთ. ნანახმა მოლოდინს გადაა-ჭარბა: ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდები [illegible], არ მოგვცეს [illegible] უნდა დაგვეკავებინა. ჩვენ რამდენიმე ვიბრძოდით. მიუხედავად წი-ნააღმდეგობისა, მაინც დავაკ-ავეთ და შევიყვანეთ პოლიციის განყოფილებაში.

ამასობაში განყოფილებას მოა-წყდა აღშფოთებული მოსახლეო-ბა, — დაახლოებით ოთხი ათა-სამდე კაცი. ისინი ძალით ცდი-ლობდნენ შემოჭრას და მოი-თხოვდნენ დაკავებულები მათ-თვის გადაგვეცა. ჩვენ შევეცა-დეთ უკანა გასასვლელით ქა-ლაქის პოლიციის სამმართველ-ოში გადაგვეყვანა დამნაშავენი, მაგრამ ჩვენი მცდელობა შენი-შნა აღელვებულმა ხალხმა და ისინი ლინჩის წესით გაასამართ-ლა. ბიჭებიდან ადგი-ლზე გარდაიცვალა ერთი, დანარ-ჩენი ორი სხეულის მძიმე დაზი-ანებით მიიყვანეს საავადმყოფოში. მოგვიანებით გარდაიცვალა კიდევ ერთი.

**მინაწერი:** როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს არცთუ ისე მო-რიგ მოსახლეობასთან [illegible]. ზოგი ავტომატმომარჯვე-ბული მეომარი, რომელთა მიმართ-აც ქართველმა ხალხმა, სამშობლო-სათვის დაღვრილი სისხლის სა-პასუხოდ, მადლიერება არაერთ-გზის გამოხატა, მძარცველის სახელს იხვეჭს მოსახლეობაში. სამწუხაროა, ამის თქმა რომ გვი-წევს. ერთეული შემთხვევები არ შეიძლება ყველაზე გავრც-ელდეს. მაგრამ მაინც გვინდა გულისტკივილით შევნიშნოთ: სა-ქართველოსთვის თავდაუზოგავი მებრძოლის ლეგიტიმურად გას-რილი ტყვიით არ უნდა ობ-ლდებოდეს ის ოჯახები, ფრონ-ტის წინა ხაზზე წასულ მეომრ-ებს ცრემლით რომ აცილებენ და მათ დაბრუნებას ღიმილით ხვდე-ბიან.

**თემურ ბურდილაძე.**

ESABI international company

მსოფლიოში ცნობილი ინგლისური ფირმების

RANK XEROX & REXEL

რწმუნებული დილერი კომპანია «ესაბი»

გთავაზობთ თბილისში განლაგებული საწყობიდან:

- XEROX 5809 და XEROX 5809RE ტიპის ასლგადამღებ მანქანებს და სახარჯ მასალებს ფირმა XEROX-ის ორიგინალისათვის;
- ინგლისის ყველაზე ცნობილი კანცელარიული მოწყობილობის REXEL -ის წარმოების უმაღლესი კლასის საოფისე და სამრეწველო საქონელს;
- საბეჭდი კალკულატორებს.

გადახდის ფორმას და ვალუტას ირჩევთ თქვენ

თქვენი ოფისი — თქვენი სახეა.

ტელ:
98-94-77,
98-36-31,
ფაქსი
98-96-58,
ტელექსი
212958.

გაენათი

თქვენ გადაწყვიტეთ გახდეთ იმპრესარიო ან პროდიუსერი?
კეთილი

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი „გაენათი" აგრძელებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის
ხელოვნებათმცოდნეობის მენეჯერის შემდეგ სპეციალობებზე:
ქორეოგრაფიული საქმიანობის იმპრესარიო.
მუსიკალური საქმიანობის იმპრესარიო.
თეატრალური საქმიანობის იმპრესარიო.
კინოხელოვნების საქმიანობის პროდიუსერი.
სახვითი ხელოვნების საქმიანობის მენეჯერი.
აბიტურიენტები სპეციალობაში გასაუბრების შემდეგ აბარებენ გამოცდებს შემდეგ დისციპლინებში;
მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა და უცხო ენა.
უმაღლესი განათლების მქონე პირები ჩაირიცხებიან გასაუბრების შედეგად II კურსზე.
საბუთების მიღება — 14 აგვისტომდე.

მისამართი:
ქეთევან წამებულის 55 მეტრო „300 არაგველი"), 78-ე საშუალო სკოლა. ტელეფონი: 74-21-92.

მიმღები კომისია

ერთად უნდა ვებრძოლოთ

# დიდი დამნაშავეების დაწყებითი სკოლა

**წინა კვირას საქართველოს პა-რლამენტმა მიიღო კანონი „პო-ლიციის შესახებ", ოღონდ ოფი-ციალურად დაადასტურა ზოგიერ-თი პარლამენტარის ის მოთხოვნა, რომელიც პოლიციის ორგანოებს დანაშაულებრივი უკანონო ბიზნე-სის [illegible] საქმეებზე ცხვირის ჩა-ყოფას უკრძალავს.**

**ვერც** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯემალ მიქელაძის დასაბუთებულ-მა გამოსვლამ გაჭრა, ვერც დარ-ბაზის უმრავლესობის ნებამ, ვერც იმან, რომ ზაფრისმომგვ-რელი „ობეხეს"-ი ეს შედეგი თვით, რაც კრიმინალური პოლიციის ეკონომიკურ და თანამდებობრივ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამ-მართველოდ იწოდება. კვალიფი-ციური კადრებით არის დაკომპ-ლექტებული და ამ ხნის მანძილ-ზე შვიდი თუ რვა მილიარდი მა-ნეთის სახსრები და მატერიალუ-რი ფასეულობანი მაინც დაუბ-რუნა ქვეყანას. მარტო იმის თქმა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასულ საქართველოს ეს კო-მუნისტური „გადმონაშთი" არ სჭირდება, არ არის დამარწმუ-ნებელი არგუმენტი კამათის მო-საგებად. ეს უფრო ის ამბიციაა, რომელმაც საერთოდ, დააქცია ქვეყანა. რა დასამალია, რომ სა-ქართველოში დღეს დანაშაულებ-რივი ბიზნესი ბატონობს. აბა, მი-ჰყავ, და დამისახელეთ ვინმემ ათიოდე კაცი, ვინც ალალად, წესიერად, კანონიერად, არა საქა-რთველოს საზიანოდ, არამედ მის ასაღორძინებლად იშოვა თუნდაც ათი მილიონი. ნამდვილად გაუ-ჭირდება დასახელება და ეს სუ-ლაც არ არის პარადოქსი. ერ-თი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებიდან მეორეზე, მით უმეტეს, სოციალისტურიდან კა-პიტალისტურზე გადასვლის პრო-ცესს, მის თანამდევ ქაოსსა და ანარქიას არ შეიძლება არ ახლ-დეს ის მოვლენები, რომელთა მომსწრენი ყველანი ვართ. წინა ხელისუფლებაც აუქმებდა ხსენე-ბულ სამსახურს, ერთი გამოშვე-[illegible] იყო.

ძნელად თუ დაასახელებს დღეს ვინმე [illegible] ბიზნესმენს, ფირმას, თუ კორპორაციას, რომელსაც „კალ-ალებით დაწვავ" ან ისეთ ბიზნეს უპოვი, ანკესზე რომ წამო-[illegible] [illegible] სინამდვილით და სიზუსტით შესრულებული ყვე-ლა — შავი თუ თეთრი სამუშაო.

სწორედ, ამიტომაა საჭირო პო-ლიციის ოპერატიული სამსახური, კონტროლის პალატაც „კომუნის-ტური გადმონაშთია", მაგრამ არავინ ამბობს, საჭირო არ არისო. საჭიროა და თავისი წარმოშობის მიუხედავად, საჭიროა ყველა ის სამსახური, რომელიც დღეს ქვე-ყანას გამოადგება. ახლა სახელ-მწიფო ქონების პრივატიზაცია უნდა გაჩაღდეს თითქოს. ეცით, რა დანაშაულებებთან გვექნება საქმე? ერთი სიტყვით, სანამ რა-მეს გააუქმებ ან შექმნი, მის სა-ჭიროებაზე უნდა დაფიქრდე. გა-მოცდილი ხალხის ნათქვამია, ახა-ლი ფეხსაცმლის შეძენამდე, ძველი არ უნდა გადააგდო.

პროფესიონალების აზრით, პა-რლამენტი ისევ უნდა დაუბრუნ-დეს ამ საკითხს და თუ შესაძ-ლებელია, მოისმინოს ეკონომი-კურ და თანამდებობრივ დამნა-შავეობასთან ბრძოლის სამსახუ-რის ანგარიში, ამ საქმის კომპე-ტენტური სპეციალისტების კონ-სულტაციები და, თუნდაც არა-ცივილიზებული, მაგრამ ქვეყნის-თვის საჭირო გადაწყვეტილება მიიღოს.

• • •

**ბარდაბნის** რაიონის სოფელ [illegible] მას „გიგანტსაც" ეძა-[illegible] უწოდებენ, რომ ეს [illegible] სახელია. თბილი-სის გარეუბანში, გაპარტახებულ და სანახევროდ გაუდაბნოებულ, ერთ დროს ოქრომიწაზე, ამ ოც-დაათიოდე წლის წინათ ზოოტექ-ნიკურ-სავეტერინარო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენებას ხალხის მოდენა მოჰყვა. განაშე-ნიანდა ტრამალი, გაიზარდა და-სახლება. გამოჩნდა ხანი და ისეთი მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის გიგანტური კო-მპლექსებიც აშენდა, ახლა მოყ-ვარეს რომ უბრმავებს თვალს, წინათ კი... ისე, კარგი პატრონის ხელში, ძველი სულადობისა და სიმძლავრეების შენარჩუნება რომ მოხერხებულიყო, კენიაში ხორცის საძებრად წასვლა ნამდვილად არა-ვის დასჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, ამიტომ ეწოდა ამ დასახლებას „გიგანტი".

ახლა დაინგრა „გიგანტი"... სხვა გზა არ იყო და ხალხმა არა-რენტაბელური, დაცლილი მეურ-ნეობის ხელმძღვანელთა ნების სა-წინააღმდეგოდ პატარა „ფერმე-ბი" მოაწყო.. მოაშენა ცხვარ-ძროხა, ქათამი... აყეფდა ძაღლი, აყივლდა მამალი, ამრავლდა სა-ქონელი და... დაიკარგა სოფელში მოსვენება.

დღე ერთია და ათი ქურდი მო-დის... არც ძილია ამ ხალხისთ-ვის, არც არაფერი. ავლენ დი-ლით და რას ხედავენ: გატეხილია ბოსელი, სადღაა მარჩენალი ძრო-ხა, თუ ნასათუთევი ბოჩოლა.

არ ვიცი, ქურდები იყვნენ ძა-ლიან პროფესიონალები, თუ პო-ლიციას არ შესწევდა ძალა, — არ იხსნებოდა დანაშაული. ამო-უვიდა ხალხს სული ყელში, გა-მართა მიგდებული სანადირო თო-ფები და ღამე ყარაულობა დაა-წესა.

„ქურდები!... ქურდები!..." ატ-ყდა შუაღამისას განგაში. ადგა ფეხზე ხალხი. ავიდნენ და რას ხედავენ, გატეხილია ბოსელი, წაყვანილია ძროხა... „აქეთ გაი-ქცნენ, აქეთ!.., ღამეა, თვალთან თითს ვერ მიიტან. ერთი ბიჭი და გოგო „სეირნობდნენ" აქ. ბიჭი მოვიდა და „ნაცნობად" სიგარეტი მომთხოვა. რომ ვუთხარი არ მაქვს-მეთქი, „აჯარი" მიწოდა. ნამდვილად ისინი არიან" — გაიხსენა ერთმა შეზარხოშებულმა ყარაუ-ლმა. ბედად გამოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს თანამშრომელი, პოლიციის კაპიტანი ჯემალ ზო-იძე. რამდენიმე მოსახლესთან ერ-თად სასწრაფოდ შეიქმნა ოპერა-ტიული ჯგუფი. სხვები ახლომა-ხლოს მოედვნენ. ძროხა იქვე გზის-პირზე ნახეს დაბმული. ქურდები? ცოტა ხანში გამოჩნდა ოპერ-ჯგუფის მანქანა. დააკავეს? ვერ დააკავეს? დაუკავებიათ! — იყ-ვირა ვიღაცამ. ერთ წამს ყველა გაყუჩდა, მერე — ბიჭოსო, აღმო-ხდათ, იხუვლეს და...

ბიჭი და გოგო ცენტრალური გზის ახლოს ბუჩქებში მიმალუ-ლან. მანქანა რომ დაუნახავთ, თა-ვისიანები ჰგონებიათ და გზაზე გამოსულან.

აღელვებული ხალხი, წყევლა, კრულვა, მუქარა, გაწევ-გამოწე-ვა... დამნაშავეების მეტისმეტად გამომწვევი მოქმედება.

„მე, პაატა ტოტიკაშვილი და-ვიბადე 1963 წელს, ვცხოვრობ თბილისში... გამიჭირდა და მოვი-პარე, თქვენ არ გაგჭირვებიათ?"

„მე ვიოლეტა ზარბაზიანი ვარ, 18 წლის, ვცხოვრობ თბილისში, კუმისში, ამის „დაჩაზე" ვიყავით..."

— მარტო იყავით? ვინ გახლ-დათ? — „ჩემი დეიდაშვილი „ომონის" წევრი ბესიკ წოწორია და მანო, მისი გვარი არ ვიცით"...

— ვინ მოგცათ საქმე?

ნათქვამია, ცოტ[illegible] შიგნიდან ტყდებაო. ამჯერადაც ასე მოხდა. კაცი მეზობელია, თვალებში შეს-ციცინებს, შეგცქერის, თურმე ზურგსუკან ნაცრით სავსე კასრი აქვს დამალული და რაწამს დას-ჭირდება, თვალებში შეგაყრის.

გათენდა. კაცი არ დაღის, რამე დაკარგული რომ არ ჰქონდეს, აღე-ლვებული ხალხის დაწყნარება ყვე-ლაზე ძნელი საქმეა. სპეციალურად გამოყოფილი ბიჭები გაძლიერებუ-ლად იცავენ დამნაშავეებს; დრო-ზე ეცნობა სამინისტროს, გარდა-ბნისა და თელეთის პოლიციის გა-ნყოფილებებს. სასიხარულოა, რომ ამ მეტად საშიშ, ექსტრემალურ სიტუაციაში ხალხმა შეინარჩუნა სიმშვიდე და წონასწორობა.

პოლიციის თელეთის ქვეგანყო-ფილების თანამშრომლებმა იმავე ღამეს დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის ორი დანარჩენი წევრი. ახლა მიმდინარეობს იმათი [illegible] ვინც „საქმე მისცა" ძროხის [illegible]. ჩამოართვეს ცეცხლსას-როლი იარაღი.

ვერ ვიტყვი, რომ ეს ამბავი ნი-მუშია ხალხისა და პოლიციის ერ-თობლივი მოქმედებისა დამნაშა-ვეობის წინააღმდეგ, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ხალხისა და სამართალდამცავი ორგანოე-ბის თანადგომას და ურთიერთ-ნდობით გაკეთებულ საქმეს ყო-ველთვის მოჰყვება ხოლმე ორი-ვესათვის მომგებიანი შედეგი.

ახლა სიტყვა გამოძიებაზეა.

ვნახოთ, როდის ეღირსებათ გი-განტელებს ტკბილი ძილი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქონლის ქურდობა ტრადიციად იქცა. ვინღა არაა შემჩნეული ამ დანაშაულში — სამხედრო ფო-რმიანი, პოლიციის ფორმიანი, სკოლის მოსწავლისფორმიანი... ამდენი მკვლელობებითა და ყა-ჩაღობებით დაზაფრულებს ქათმის ქურდობა არაფრად უღირთ, არა-და, სწორედ ესაა დიდი დამნაშა-ვეების დაწყებითი სკოლა.

**ზაურ მაკარაძე.**

წიგნის თარო

## სხვა საფიქრალი რა გვაქვს...

შალვა ხიდაშელი



რა გვაქვს დღეს სხვა საფიქ-რალი, თუ არა მამული, მისი აწ-მყო და მომავალი. ძნელი დრო დაუდგა მას და ასეთ დროს, ყველამ ერთად უნდა იფიქროს გაჭირვებიდან თავის დაღწევაზე.

„ფიქრები საქართველოზე" — ასე ჰქვია ფილოსოფიის მეცნიე-რებათა დოქტორის, აკადემიკოს შალვა ხიდაშელის კრებულს, რო-მელიც ახლახან გამომცემლობა „მეცნიერებამ" დასტამბა.

საერთოდ, ავტორის ნაშრომთა ძირითადი თემაა ქართული ფი-ლოსოფიური აზრის ისტორია. მა-გრამ ამ კრებულში წარმოდგე-ნილი წერილები მხოლოდ ამ შინაარსით არ ამოიწურება. აქაა მოგონებები ცნობილ ქართველ მეცნიერებსა და მოღვაწეებზე, რომლებთანაც ბატონ შალვას პი-რადი და სამსახურებრივი ურთი-ერთობა ჰქონია.. ტკბილ და თბილ სიტყვებს უძღვნის იგი ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, ჯერონტი ქიქოძეს, ანა კალანდ-აძეს...

კრებულში დიდი ადგილი უჭირავს ავტორის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოქვეყ-ნებულ პუბლიცისტურ წერილ-ებს. ამ წერილებში იგი ეხება ეროვნული მოძრაობის საკითხ-ებს, ჩვენს ცხოვრებისეულ პრო-ბლემებს, რომლებიც ჯერ კიდევ კარგა ხანს იქნება კამათისა და განსჯის საგანი. მღელვარე დღე-ები ხომ კვლავ გრძელდება!

კრებული საინტერესოდ იკი-თხება. ოღონდ, იგი ყველა მსუ-რველს, ალბათ, ვერ შეხვდება. სულ დასტამბულია... 200 ცა-ლი (!). სიმართლე გითხრათ, ასე-თი პატარა ტირაჟი ასეთი კარგი წიგნისა, აქამდე არც მინახავს. თუმცა, ესეც ხომ დრომ მოიტანა!

**ბადრი იაშვილი.**

## საფირმო მაღაზია

**თავისი** საფირმო მაღაზია გახსნა ჭავჭავაძის პროსპექტზე თბილისის პირველმა ღვინის ქა-რხანამ. მისი მეშვეობით იყიდ-ება საწარმოს პროდუქცია — კა-ხური ღვინოები „ტიბაანი", „სა-ფერავი", „ალაზნის ველი" და სხვ. საწარმომ შეუდგა ახალი პრო-დუქციის — თეთრი ღვინის „ბო-რნაბუჯის" ჩამოსხმას, რომელიც კახეთის ხირსის ღვინის ქარხანა-ში მზადდება. სადეგუსტაციო დარბაზის რემონტის დამთავრების შემდეგ მოეწყობა ლექციები სა-ქართველოში მევენახეობის ის-ტორიის შესახებ, საქმიანი შეხვედ-რები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-კომერციული შემნახველი ბანკი

- ყოველგვარი სავალუტო ოპერაციები
- საკორესპონდენტო ურთიერთობები პარიზის, ფრანკფურტის, ნიუ-იორკის, მოსკოვის და სხვა ბანკებთან
- ყველაზე ფართო ქსელი საქართველოში
- მოსახლეობისაგან ვალუტის მიღება და სავალუტო კრედიტების გაცემა;
- მინიმალური საკომისიო გასამრჯელო განხორციელებულ ოპერაციებზე;

— სახარბიელო საპროცენტო განაკვეთები მოთხოვნამდე ანაბრებზე წლიურად 5 პროცენტი ვადიან ანაბრებზე:

ერთი წლით — 10 პროცენტი
სამი წლით — 15 პროცენტი
ხუთი წლით — 20 პროცენტი
ლიმიტს ზემოთ დარჩენილ ნაშთზე — 3 პროცენტი.
— ეს 1993 წლის პირობებია

იჩქარეთ! შესაძლოა, სავალუტო ბაზარზე კონიუნქტურა შეიცვალოს!

— ჩვენ უზრუნველვყოფთ ოპერაციების კანონიერებას და საიდუმლოებას, სავალუტო სახსრების დაცულობას და გაცემას მოთხოვნისთანავე!

შემნახველი ბანკის მისამართია: თბილისი, დ. უზნაძის ქ. №37, 380002, ტელ: 93-12-01, 99-95-62, ფაქსი: 95-60-85, ტელექსი: 21-23-96 CSB SU.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი

სააგენტო ბედი რეკლამა

საბროკერო ფირმა 277—1

ორგანიზაცია ყიდის იაპონური წარმოების საყოფაცხოვრებო ბენზო-გენერატორებს:
გამოსასვლელი ძაბვა — 220 ვოლტი
გამოსასვლელი სიმძლავრე — 2000 ვატი
ბენზინის ხარჯი — 1 ლ-სთ.
ბენზინის ავზის ტევადობა — 4 ლ.
წონა — 35 კგ.
ტელ: 38-03-28, 60-88-43.

მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასიცოცხლო ტონუსის დაქვეითება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობას. თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იგრძნოთ თავი ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი, მოგვმართეთ.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობის კომპლექსურობა საშუალებას იძლევა მაღალეფექტურად ვუმკურნალოთ პროსტატიტს, იმპოტენციას (მამაკაცის სქესობრივი უძლურება) გამომწვევ მიზეზებს და [illegible].

მკურნალობა ანონიმურია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, აღმაშენებლის (ყოფილი პლეხანოვის ქუჩა) ჩიხი №3, I სართული. (მეტრო [illegible], ყოფილი მე-18 პოლიკლინიკა) ტელ: 39-25-82.

მიღება სამუშაო დღეებში: 16-30 სთ-დან 18 საათამდე.
შაბათ-კვირას 10 სთ-დან 12 საათამდე.

ფირმა „კონტაქტი"-ს სამედიცინო კაბინეტი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მე-ტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რეს-პუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრა-ციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА